

მასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2007

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და შეავსეთ პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

მხედველობაში არ მიიღება საგამოცდო ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი (ან შემოხაზული) პასუხები! ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების პირობას და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.

თუ კითხვას **არ ახლავს** აკრძალვა – ციტირება დაუშვებელია – შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით.

ზოგი დავალების შესასრულებლად საჭიროა სწორი პასუხის შემოხაზვა. ასეთ შემთხვევებში გადასწორება **არ შეიძლება!**

იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი იწერება სიტყვიერად, შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

სამი წერითი დავალებიდან აირჩიეთ და შეასრულეთ მხოლოდ ერთი. შეგიძლიათ ნაშრომი ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, შემდეგ კი გადაათეთროთ პასუხების ფურცელში.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), **არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I ქართული ენა

(4) 1. შემოხაზეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

1. ოლიმპია საბერძნეთის გამორჩეულ წმინდა ადგილად ითვლებოდა. 2. ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობა იყო დიდებული ტაძარი, რომელსაც ზევსის უზარმაზარი ქანდაკება ამშვენებდა. 3. იგი შექმნა გენიალურმა ბერძენმა მოქანდაკე ფიდიასმა. 4. ფიდიასის დასახმარებლად საბერძნეთის საუკეთესო ხელოსნებს მოუყარეს თავი. 5. ჩანაფიქრი რომ განეხორციელებია, მისთვის ოლიმპიაში საგანგებო სახელოსნოც კი დაარსდა. 6. ფიდიასმა და მისმა შეგირდებმა კიდევ უფრო გაანვითარეს ქანდაკების შექმნის იმდროინდელი ტექნოლოგია. 7. ხის ფიგურა დაფარული იყო სპილოს ძვლის ფირფიტებით, რომლებსაც საგულდაგულოდ წმინდავდნენ და აპრილებდნენ. 8. ოქროს გვირგვინი და სამოსი თვალისმომჭრელად ელვარებდა და არაჩვეულებრივ იერს აძლევდა ზევსის გამოსახულებას. 9. ამ საოცარ ქანდაკებას მნახველები ხშირად აღწერდნენ, რაც საშუალებას გაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი.

(10) 2. მოცემულ ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. თხს სტრიქონში შეცდომა არ არის, ექვსში კი თითო-თითო შეცდომაა. სტრიქონის ნომრის გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ თითოეული ეს სიტყვა სწორი ფორმით; თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა ✓.

ნიმუში: 0 ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-IV საუკუნეში ურბნისი დიდი და მდიდარი
0 ქალაქი იყო და მას იბერიის ანტიკურ ქალაქებს შორის გამორჩეული
1 ადგილი ეჭირა. ეს დასტურდება არქეოლოგიური გათხრების შედეგად
2 აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლებით. ლეონტი მროველი
3 „ქართლის ცხოვრებაში“ ორგან სწერს ურბნისის შესახებ. ერთი ცნობა
4 მაკედონელის საქართველოში შემოსვლას უკავშირდება. დღეს ეს ფაქტი,
5 მართალია, უარყოფილია, მაგრამ ურბნისის ქალაქათ მოხსენიება მაინც
6 მნიშვნელოვანია. მეექვსე საუკუნისათვის ქალაქი ისე გაზრდილა, რომ
7 ახალი კედლით შემოუფარგლავთ. ურბნისს მტრების რისხვა ხშირად
8 დატყვის თავს. ქალაქი მთლიანად დანგრეულა მურვან ყრუს შემოსევის
9 დროს. არაბებს გზა და გზა ყველაფერი მიწასთან გაუსწორებიათ და
10 ურბნისიც გადაუწვიათ. ამის შემდეგ ქალაქი ვეღარ აღუდგენიათ.

ნიმუში: 0 ---- IV ----
0 ---- ✓-----

(1) 3. დაწერეთ ნაცვალსახელი თქვენი შესაბამისი ფორმით.

. . . მიერ გამოთქმული მოსაზრება ანგარიშგასაწევია.

(1) 4. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.

პოეტის არქივში ინახება ორი ლექსი, რომელიც მას სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია.

(1) 5. რომელი სიტყვაა გამოტოვებული? (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

ერთხელ უკვე ვითხარი, შინ დარჩენა

ა) მირჩევნია-თქო; ბ) მირჩევნია-მეთქი; გ) მირჩევნიაო.

(1) 6. დაწერეთ არსებითი სახელი სპილენძი შესაბამისი თანდებუდიანი ფორმით.

ჩვენი წინაპრები ჭურჭელს . . . ამზადებდნენ.

(1) 7. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.

რევისორმა, რომელმაც მთავარი პრიზი მიიღო, ჟურნალისტებს შეხვდა.

(1) 8. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.

ბავშვთა სახლის სტუმრები ცნობილი მეწარმეებია.

(4) 9. შემოხაზეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

1. მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1858 წელს ახალციხეში. 2. მან სასულიერო განათლება ევროპის რამდენიმე ქვეყნებში მიიღო. 3. რომის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი ღვთისმეტყველების დოქტორი გახდა და უნივერსიტეტში დაიწყო მუშაობა. 4. მიხეილ თამარაშვილი გულდასმით ეცნობოდა უცხოეთში დაცულ ისტორიულ მასალებს, რადგან ობიექტურად გამოეკვლია საქართველოს წარსული. 5. 1910 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. 6. ეს იყო შვიდასგვერდიანი ფუნდამენტური ნაშრომი, რაც კულტურულ საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის ისტორიას აცნობდა. 7. სამწუხაროდ, თამარაშვილის ცხოვრება ტრაგიკულად დასრულდა. 8. 1911 წელს მან იტალიის ერთ ზღვისპირა ქალაქში დახრწობიდან იხსნა მისთვის უცნობი ადამიანი, თვითონ კი დაიღუპა. 9. ოთხმოცი წლის შემდეგ მისი ნეშტი ქართულ მიწას მიაბარეს.

(4) 10. **შემოხაზეთ ის ოთხი ციფრი, რომელთა ადგილას გამოტოვებულია სასვენი ნიშნები.** (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

ანბანური ნუმერაცია შემოიღეს მცირე აზიაში(1) ჩვენს წელთაღრიცხვამდე(2) მეხუთე საუკუნეში. აღრიცხვის ეს სისტემა(3) უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საქართველოშიც. ქართული ნუმერაცია თანამიმდევრულად მიჰყვება ჩვენი ანბანის რიგს(4) რაც იმაზე მეტყველებს(5) რომ იგი საკუთარ ნიადაგზეა აღმოცენებული. პირველი ცხრა ასო(6) ერთეულებს შეესაბამება(7) მომდევნო ცხრა(8) ათეულებსა და ა. შ. ქართული ანბანური ნუმერაცია(9) მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე გამოიყენებოდა ხელოსნობასა და ვაჭრობაში.

(1) 11. **გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი და ისე გადაწერეთ წინადადება** (წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ).

გამარჯვებულების დაჯილდოება ფედერაციის პრეზიდენტმა მოახდინა.

(1) 12. **განსაზღვრული, დათქმული დრო არის:**

ა) ყადრი; ბ) ყავლი; გ) ყაიდა. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 13. **რომელი სიტყვაა გამოტოვებული: შეიქმნა თუ შეიქნა?**

საახალწლო ზემისათვის საჭირო . . . სახელდახელო სცენის აგება.

(1) 14. **რომელი სიტყვაა გამოტოვებული?**

ეს ტადარი . . . საუკუნის განმავლობაში ამშვენებს ხეობას.

ა) ბევრი; ბ) მრავალი; გ) ურიცხვი. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 15. **რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება – სიტყვა ბანზე ააგლო?**

ა) თავისი ნათქვამი მოგვიანებით უარყო; ბ) ნათქვამით ყველა საგონებელში ჩააგლო;

გ) საუბრის თემა განზრახ შეცვალა. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 16. **შემოხაზეთ მართებული შესიტყვება:**

ა) დადი დაატყო; ბ) კვალი დაასვა; გ) კვალი დაატყო.

(3) 17. **შემოხაზეთ იმ სამი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზები გვხვდება.** (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

1. ორთქლმავალშენებლობის ფუძემდებლად ინგლისელი ინჟინერი ჯორჯ სტეფენსონი ითვლება. 2. მის მიერ მატარებლის აგებას ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის დასაწყისში. 3. საქართველოში ამ საკითხთან მიმართებაში დიდი ინტერესი გამოიჩინა ცნობილმა საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძემ. 4. მას კარგად ესმოდა, თუ როგორ გააძლიერებდა ეს ახალი სატრანსპორტო საშუალება ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს. 5. სწორედ მისი დაკვეთით შემოვიდა საქართველოში პირველი ორთქლმავლები. 6. თავდაპირველად მატარებელი ფოთიდან ზესტაფონამდე მოძრაობდა, 1872 წლის 10 ოქტომბერს კი იგი თბილისის სადგურის ბაქანზედაც ჩამოდგა. 7. მატარებელი მაშინ სურამის უღელტეხილზე გადადიოდა, რადგან წიფის გვირაბი ჯერ არ იყო გაყვანილი.

(3) 18.

ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი . (სწორი პასუხი შემოხაზეთ)
--

მარსი დედამიწის ყველაზე (1) . . . მეზობელია. მარსზე ორი პოლუსია – ჩრდილოეთი და სამხრეთი. ნებისმიერი ტელესკოპით ჩანს, რომ იმ პოლუსზე, რომელზედაც ზამთარი დგება, მიდამოს რაღაც თეთრი საფარველი ბურავს. რა არის ეს ღია ფერის ნივთიერება, რომელიც შემო-

დგომის სიცივეებთან ერთად (2) . . . და გაზაფხულზე ქრება? (3) . . . შესაძლებელია, რომ ეს იყოს თოვლი. დედამიწაზეა ხომ თოვლის თეთრი საფარი ზამთარში იზრდება.

- | | | | |
|----|-----------------|--------------|---------------|
| 1. | ა) ახლო; | ბ) ახლობელი; | გ) მახლობელი. |
| 2. | ა) აღმოცენდება; | ბ) იბადება; | გ) ჩნდება. |
| 3. | ა) ადვილი; | ბ) მარტივი; | გ) უბრალო. |

II. წაკითხვის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. შეკითხვებს ყურადღებით გაეცანიით და მოცემული სამ-სამი პასუხიდან სწორი შემოხაზეთ (დაუშვებელია პასუხების ფურცელში შემოხაზული ასოს წაშლა და მის ნაცვლად რომელიმე სხვა ასოს შემოხაზვა).

- ქართველი ერის წარმოშობის შესახებ ორი საპირისპირო თვალსაზრისი არსებობს.
- პირველი თვალსაზრისის თანახმად, ქართველი ერი წარმოდგება იმ ხალხებისგან, რომლებიც უძველესი დროიდან მკვიდრობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე – ხმელთაშუა ზღვის აუზში, პირინეის, აპენინის, ბალკანეთის ნახევარკუნძულებზე, მცირე აზიაში და უფრო აღმოსავლეთითაც, შუამდინარეთის ჩათვლით.
- მეორე თვალსაზრისით, ქართველი აბორიგენი არიან და უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ აწინდელი საქართველოს ტერიტორიაზე – შავსა და კასპიის ზღვებს შორის, კავკასიონის ქედის სამხრეთით.
- ამ შეხედულების მომხრენი გარკვეული სიამაყის გრძნობით ჩამოგიგდებენ სიტყვას, ვთქვათ, არქეოლოგიური გათხრებისას თბილისთან ახლოს სულ უკანასკნელ ხანს ნაპოვნი ადამიანის მსგავსი არსების თავის ქალის შესახებ, რომლის ასაკი მილიონ რვაასი ათასი წელი ყოფილა და რომელიც თურმე უძველესია ევროპის ტერიტორიაზე.
- არსებობის უფლება აქვს შუალედურ თვალსაზრისსაც, ამ ორი დაპირისპირებული შეხედულების ერთგვარად შემარიგებელს: მართალია, ქართველების წინაპრები უძველეს დროსვე ცხოვრობდნენ ამიერკავკასიაში, მაგრამ მათი ძირითადი ბირთვი გაცილებით სამხრეთით ბინადრობდა და საკუთრივ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო მას შემდეგ დაარსდა, ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეთა მიჯნაზე, რაც სამხრეთული ცენტრები (ვთქვათ, ხეთას ქვეყნები, ურარტუ) თანდათან მოიშალა და, ამისდა შესაბამისად, ცენტრმაც ჩრდილოეთით გადაინაცვლა.
- ამ წიგნის ავტორი პირველი თვალსაზრისის გულმხურვალე მხარდამჭერი რომ არის, ამას მეცნიერებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ამჯერად სხვა რამეს მივაპყროთ ყურადღება:
- რომელი შეხედულებაც უნდა გამოდგეს მართებული (ეს მომავალში გაირკვევა), ორსავე შემთხვევაში სრულიად უეჭველი ფაქტია, რომ ქართველებს, უკეთ თუ ვიტყვი – ქართველთა წინაპრებს, მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ძველი მსოფლიოს იმ ხალხებთან, რომელნიც კაცობრიული ცივილიზაციისა და კულტურის სათავეებთან იდგნენ ზემოხსენებულ ვრცელ რეგიონში – მესოპოტამიიდან ატლანტის ოკეანის სანაპიროებამდე.
- სხვა არავითარი ცნობა ან მასალა რომც არ შემორჩენილიყო, ამას დაადასტურებდა თუნდაც ერთადერთი ფაქტი: დადგენილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე ხშირად იჩენს თავს სვასტიკის გამოსახულება.
- ეს გამოსახულება, კუთხოვანი თუ მომრგვალო ფორმისა, მრავლად აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ თიხის ან ლითონის ჭურჭელზე, სამკაულებზე, შემდგომში – დღემდე ხმარებულ საოჯახო ნივთებზე და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ქრისტიანული ტაძრების კედლებზე.
- ეს კეთილშობილური სიმბოლო, სვასტიკა (ქართულად – ბორჯღალი), მზის კულტთან დაკავშირებული, მარადიული მოძრაობის გამომხატველი, გავრცელებული იყო სწორედ ხმელთაშუა ზღვის აუზში, მცირე აზიაში, ირანსა და ინდოეთში. ამგვარი ამბები შემთხვევით არ ხდება ხოლმე.

რევაზ თვარაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 2001 წ.

- (1) 1. რა არის მეორე აბზაცის უმთავრესი აზრი?
- ქართველების წინაპრები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არ ბინადრობდნენ;
 - ქართველების წინაპრები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდნენ;

გ) ქართველების წინაპრები მხოლოდ მცირე აზიაში ბინადრობდნენ.

(1) **2. რა არის მესამე აბზაცის ფუნქცია?**

- ა) მეორე აბზაცში დასმული საკითხის ერთ-ერთი ასპექტის ჩვენება;
- ბ) პირველ აბზაცში დასმული საკითხის ერთ-ერთი ასპექტის ჩვენება;
- გ) წინა აბზაცებში დასმული საკითხების ერთგვარი შეჯამება.

(1) **3. რა არის მეხუთე აბზაცის უმთავრესი აზრი?**

- ა) ქართველთა წინაპრები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზედაც ცხოვრობდნენ და მის გარეთაც; ბ) ქართველთა წინაპრები უძველეს დროსვე ცხოვრობდნენ ამიერკავკასიაში; გ) სამხრეთული ცენტრები თანდათან მოიშალა და ცენტრმაც ჩრდილოეთით გადმოინაცვლა.

(1) **4. რომელ აბზაცშია გამონატული აზრი, რომ ქართველების წინაპრებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სხვა ხალხებთან?**

- ა) II აბზაცში; ბ) V აბზაცში; გ) VII აბზაცში.

(1) **5. რა აკავშირებს მეცხრე აბზაცს წინა ორ აბზაცთან?**

- ა) მეცხრე აბზაცში გამეორებულია წინა ორ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები;
- ბ) მეცხრე აბზაცში დასაბუთებულია წინა ორ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები;
- გ) მეცხრე აბზაცში უარყოფილია წინა ორ აბზაცში გამოთქმული მოსაზრებები.

(1) **6. რომელი სიტყვა აღნიშნავს რაიმე ცნების პირობით ნიშანს?**

- ა) აბორიგენი; ბ) კულტი; გ) სიმბოლო.

(1) **7. რის მეშვეობით ასაბუთებს ავტორი საკუთარ თვალსაზრისს?**

- ა) სხვა მეცნიერთა თვალსაზრისების გამოყენებისა და მათი ნაშრომების ციტირების მეშვეობით; ბ) სხვა მეცნიერთა თვალსაზრისების გამოყენებისა და ორიგინალური მსჯელობის მეშვეობით; გ) სხვა მეცნიერთა თვალსაზრისების შეფასებისა და მათი უარყოფის მეშვეობით.

(1) **8. რის შესახებ არ მსჯელობს ავტორი ამ ტექსტში?**

- ა) საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ; ბ) ქართველთა წინაპრების მიგრაციის შესახებ; გ) ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესახებ.

(1) **9. რა არის მთელი ტექსტის ფუნქცია?**

- ა) საკუთარი თვალსაზრისის გამოსატყა კულტურული ურთიერთობების შესახებ;
- ბ) საკუთარი თვალსაზრისის გამოსატყა ქართველთა ტრაგიკული წარსულის შესახებ;
- გ) საკუთარი თვალსაზრისის გამოსატყა ქართველი ერის წარმოშობის შესახებ.

(1) **10. რა არის მთელი ტექსტის უმთავრესი აზრი?**

- ა) სვასტიკა (ქართულად – ბორჯღაღი) მზის კულტთან დაკავშირებული, მარადიული მოძრაობის გამომხატველი სიმბოლოა; ბ) ქართველები მუდამ ამიერკავკასიაში, კერძოდ, ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდნენ; გ) ქართველების ჩამოყალიბება ერად სხვა ხალხებთან ფართო კულტურული ურთიერთობების შედეგად მოხდა.

III. ქართული ლიტერატურა

(2) **1. იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:**

„და ვითარცა მიიწინეს ხიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: – შენდა ეგდენ ყოფად არს ფერხითა შენითა სღვაი, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ“.

- 1. განმარტეთ, რას ნიშნავს სიტყვები: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერხითა შენითა სღვაი“.
- 2. ამოიწერეთ ორი სიტყვა, რომლებიც აღნიშნავს, რომ შუშანიკს მკვდარს გამოიტანენ.

(1) **2. იოვანე საბანისძე მოგვითხრობს:**

„ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თვისსა მას გუამსა“.

გადმოეცით თქვენი სიტყვებით მთელი ფრაზის შინაარსი. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) **3. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:**

„ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე...“

1. *განმარტეთ*, რას ნიშნავს სიტყვები – „ვითარცა ღუარძლი აღმოცენებული“.
2. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც გადატანით მნიშვნელობით აღნიშნავს ბერებს.

(4) **4. თინათინი მიმართავს ავთანდილს:**

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
ძებნა წამლისა მისისა, ცნობა ხამს მართ უიცისა,
ჩემი თქვი, რა ვქმნა ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი-, ცისა?“

1. *ამოიწერეთ* სიტყვა „ფიცის“ სინონიმი.
2. *განმარტეთ*, რას ნიშნავს სტროფის მეორე სტრიქონი. (ციტირება დაუშვებელია!)
3. *რის* გამო დარდობს თინათინი? (ციტირება დაუშვებელია!)
4. თინათინის რა თვისება ჩანს ამ სტროფში?

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:**

„რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს,
ვერ გაუძღვებს, რაც კაცს სენი გულსა უკოდს, სჩხველეს და მსჭვალავს.
სხვის არმკრძალავს რად ემდურის, ვინც თავის თავს არა ჰკრძალავს,
თვით ვერ ხედავს, სხვის საჭვრეტლად, თუ არ უნდა, პირს რად ჰკალავს?“

1. *დაასახელებეთ*, რა უმთავრესი თვისება აქვს, დავით გურამიშვილის აზრით, უბედურებას. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *ამოიწერეთ* სიტყვები, რომლებიც პიროვნების მიმე სულიერ მდგომარეობას გამოხატავს. (არა უმეტეს ხუთი სიტყვისა)

(1) **6. გრიგოლ ორბელიანის პოემაში „სადღეგრძელო“ ვკითხულობთ:**

„აჰა, სჯულისა წიგნითა ვახტანგ სვე-დამწარებული.
სწავლის მოყვარე, მფარველი, გონება ამალღებული!
უცხოთა ცის ქვეშ მარტოობს მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან, ჩვენთვის კი დამიწებული!“

რამ განაპირობა, ავტორის აზრით, ვახტანგ მეფის პიროვნული ტრაგედია? (დაასახელებეთ კონკრეტული მიზეზი)

(2) **7. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ვპოვე ტადარი...“ ვკითხულობთ:**

„მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი, –
არა! მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!“

1. *განმარტეთ*, რა ტრაგიკული განცდაა გამოხატული ამ სტროფში.
2. *რას* აბრალებს პოეტი „ცეცხლის დაქრობას“?

(1) **8. ილია ჭავჭავაძის ლექსში „მას აქეთ, რაკი...“ ვკითხულობთ:**

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!“

რა არის პოეტის ტანჯვის მიზეზი? (ციტირება დაუშვებელია!)

(2) **9. ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდგეილი“ ვკითხულობთ:**

„კელავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი,
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა..
მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშემდა ზარდაცემული...“

1. *განმარტეთ*, რამ გაუჩინა განდევილს იმედი, რომ ღმერთმა მას შეცოდება შეუნდო. (ციტირება დაუშვებელია!)
2. განდევილის რა სულიერი მდგომარეობაა ასახული მას შემდეგ, რაც ლოცვანი „სხივმა არ დაიჭირა“? (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 10. აკაკი წერეთლის ლექსში „პოეტი“ ვკითხულობთ:

„ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია;
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია!“

განმარტეთ, რა არის ამ სტროფის მთავარი სათქმელი? (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 11. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ კათალიკოსი მიმართავს თორნიკეს:

„როგორც გვირგვინსა მისი ქმნილების
მისთვის გვნიშნავდა განგება ქვეყნად,
რომ მივემსხვერპლოთ, თავი შეესწიროთ
მისსა დიდებას საკურთხად და ძღვნად“.

ამოიწერეთ სამი სიტყვა, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს დიდებულება და მშვენიერებაა გამოხატული.

(1) 12. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ ვკითხულობთ:

„ყველა მიდიოდა [ომში] პირზედ ღიმილით, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა და, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენებოდა და შორს მთებში გაითქმებოდა“.

განმარტეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი? (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 13. ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ჯოყოლა სტუმარს მიუყვანს აღაზას:

„გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალყა ტანადა,
ვარსკვლავი ციდამ მოცლილი.
– აი, სტუმარი მოგვგარე, –
ღვთის წყალობაა ჩვენზედა, –
როგორც დაგვხვდები, დიაცო,
ეხლა ჰკიდია შენზედა“.

1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც შედარებაა გამოყენებული.
2. ჯოყოლას რა თვისება ჩანს პოემის ამ მონაკვეთში?

(1) 14. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:

„– ასე კაია კაი კაცის შეხედომა! – ამბობდა გუნებაში პლატონი... – გამოვიკითხავ და, თუ რიგანი ვინმეა... გვერდევანიძის ნათესავია, მარა ეგებ ვინმე ოხერი გვარიშვილის იყვეს... ყორიფელს გევიგებ! ეს ხომ გულში მეყოლება, თუ დარიკომ სხვასთან ვისმესთან არ მიმასწავლა!..“

ამოიწერეთ სამი სიტყვა, რომლებიც პლატონის წოდებრივ ამპარტავნობაზე მეტყველებს.

(2) 15. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ ვკითხულობთ:

„სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული“.

1. *დაახახელოთ*, რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მესამე სტრიქონში.
2. *განმარტეთ*, პოეტის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ სტროფში.

(2) 16. ნაწარმოებში „ჰაკი აბბა“ ლეო ქიაჩელი ჰაკის განცდების შესახებ მოგვითხრობს:

„ნუთუ ეს უჯუშის აღსასრულის მოახლოებას ნიშნავს და კუზმამ ჩემს ცრემლებს ანგარიში არ გაუწიაო, – ფიქრობდა იგი. მაგრამ ეს არ სჯეროდა, რადგანაც კუზმას სახის მეორე, ღმობიერებით აღსავსე მთელი ნახევარი მას ისევ მეგობრული, ყოვლის მიმტყვებელი გამომეტყველებით შემოსცქეროდა და მშვიდობას უმოწმებდა“.

1. *განმარტეთ*, რა იწვევს ჰაკის შემფოთებას. (ციტირება დაუშვებელია!)

2. რატომ არ სჯეროდა ჰაკის, რომ კუზმამ მის ცრემლებს ანგარიში არ გაუწია? (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 17. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ვკითხულობთ:

„ფარსმანი სათქმელს აროდეს იტყოდა ჯიქურად. მუდამ ირიბად მიმართავდა სიტყვას, უკუსაქცეველ ხერელს დაიტოვებდა თანაც. ორღესილი მახვილივით მძაფრი იყო მისი ნათქვამი, კალმახივით უსხლტებოდა ხელიდან მსმენელს“.

1. ფარსმანის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
2. ამოიწერეთ შედარება, რომელიც სიტყვის მოუხელთებლობას აღნიშნავს (არა უმეტეს სამი სიტყვისა).

(1) 18. გიორგი ლეონიძის ლექსში „ყივჩადის პაემანი“ ვკითხულობთ:

„ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამეღესა!“

განმარტეთ, ლირიკული გმირის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ სტროფში.

IV. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს, გაიაზრეთ ისინი, აირჩიეთ და შეასრულეთ მათგან მხოლოდ ერთი. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ შეფასდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

თითოეულ წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი ნაწარმოების შინაარსის თხრობა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). თხზულებისათვის გამოყოფილი ფურცლის დასაწყისში მოცემულია წერითი დავალებების ნომრები (№1, №2 და №3); შემოსაზრეთ ის ციფრი, რომელიც თქვენ მიერ არჩეული დავალების ნომერს შეესაბამება (შეცდომა გადახაზეთ, ნუ დაჯღაბნით).

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

დავალება № 1

ტარიელის საძებნელად მიმაგალმა ავთანდილმა ქვეშევრდომებს დაუბარა:

„საქმე რამე მიც თავისა ზე, სადმე გარდსახვეწელი,
დავყო მარტოდ და ღარიბად ესე წლეული მე წელი,
გემუდარები ამისთვის, ვარ თქვენი შემომხვეწელი,
მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი“.

როსტევან მეფისათვის დატოვებულ ანდერძში ავთანდილმა ამგვარად მიმართა მეფეს:

„ვიცი, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გაზრახულსა.“

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა;
 მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლად თქმულსა:
 „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.
 რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა,
 მე რად გაეწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
 არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა?!
 მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.
 წავიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
 ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ!
 „სიყვარული აღგვამაღლებს“, ვით ეუვანნი, ამას ჟღერენ...“

ფატმანის წერილი რომ მიიღო, ავთანდილმა გაიფიქრა:

„... ყვაავი ვარდსა რას აქმნევს ანუ რა მისი ფერია!
 მაგრა მას ზედა ბუღბუღსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.
 უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
 რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!

.....
 ისი დიაცი აქა ზის, მნახავი კაცთა მრავალთა,
 მოსადგურე და მოყვარე მეზავრთა, ყოველგნით მაგალთა;
 მივჰყვე, მიამბობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვავე ალთა,
 ნუთუ რა მარგოს, გარდახდა მე მისგან ჩემთა ვცნა ვალთა!“
 თქვა: „დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა,
 აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოლა კრულსა;
 რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა;
 მიჯობს, მივჰყვე, განლა სამე ვსცნობ საქმესა დაფარულსა“.

ფატმანის თხოვნით ავთანდილი ჭაშნაგირის მოსაკლავად წავიდა:

„კარსა წინა დარაჯანი ორნი უწევს მას, გლახ, ყმასა.
 ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ვირე ხმასა,
 თვითო ხელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცნა სულთა ხდასა,
 თავი თავსა შეუტაკა, გაურივა ტვინი თმასა.
 იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა;
 თვალმოსისხული ავთანდილ შედგა ტანითა ჯანითა;
 ველარ აესწრა, იღუმალ მოკლა თუ, ვერცა ვცანითა,
 ხელი მოჰკიდა, მიწასა დაასკვნა, დაკლა დანითა.
 მჭვრეტელთა მზე და მებრძოლთა მხეცი და ვითა ზარია,
 ბეჭდითურთ თითი მოჰკვეთა, ქვესკნელს მიწათა გარია,
 ზღვათაქე სარკმლით გასტყორცა, ზღვისა ქვიშათა დარია,
 მისთვის არცაღა სამარე, არცა სათხარად ბარია“.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ავთანდილის ზნეობრივი პოზიციის შესახებ პირველი და მეორე მონაკვეთების მიხედვით;
- იმსჯელეთ, ავთანდილის რა თვისებები გამოვლინდა მესამე და მეოთხე მონაკვეთებში;
- შეაჯამეთ მსჯელობა და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ამ პერსონაჟის მიმართ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

თხზულებაში „ჰაკი აძბა“ ლეო ქიაჩელი მოგვითხრობს:

კუზმას საგუშაგოზე პატარა კუთხეში, რომელსაც პროფექტორის უკანა ფარიდან გამონაკრ-
 თობი სინათლის ანჩხლი შუქი ხვდებოდა და მოყვითალოდ ანათებდა, ჰაკი აძბა მიჩქმალულიყო
 ძრწოლვით და ცახცახით. ორივე ხელი მოაჯირისთვის ჩაეფლო და ზედ მთელი ტანით მიკვრო-
 და, რომ თავის ადგილს არ მოსწყვეტოდა. ჩოხის ამარა იყო და, როგორც ყოველთვის, ახლაც
 თავშიშველი.

ამღვრეულ სახეზე ყვითელი ფერი მოსდგომოდა და მისი წკვარამი თვალევი ყვითლად შეეღ-
 ბა. შიგ ყვითელივე ფერის შიში უკრთოდა და კიდევ რაღაც საიდუმლო ელვარება მისი შეგნე-
 ბის მიუგნებელი სიღრმიდან ამომავალი, რომლის გამორკვევა არ შეიძლებოდა.

კუზმას ყოველ ბრძანებაზე მეზღვაურთა მიმართ, იგი თვალებს აახამხამებდა, კაკლებს გადაატრიალებდა და მერე გულჩათხრობილად მინაბავდა. შემდეგ, თითქოს ღმერთს შედაღადებსო, „შიდღის“ უფროსს ლოცვის კილოზე მიმართავდა:

– შენ დიდი კაცი ხარ, კაპიტან, ჰო, დიდი, ძალიან დიდი.

მის ხმაში სასტიკად დაფარული პირფერობა ისმოდა და გულზე ნაძალადევად მოწყვეტილი თავყანისცემა, ერთგულებისა და მორჩილების გრძნობით აულარუნებულად.

– მე შენ გემორჩილები, კაპიტან. სხვას არავის. შენ გემორჩილება ქარიშხალიც, კაპიტან. ჰო, დიდი ხარ, ძალიან დიდი. იმსახურე საწყალი გლეხი ჰაკი აძბა, რომელიც მუდამ შენი ერთგული იქნება.

ჰაკი პაუზით ლაპარაკობდა, დროს შერჩევით, ქარის ზუზუნსა და ზღვის ღრიალს შორის და კუზმას სმენას თითოეულ სიტყვას ისევე სწორად და ზუსტად უმიზნებდა, როგორც ამოღებულ ნიშანს თავის საყვარელ კარაბინს, რომელიც თავის სიცოცხლეში ერთხელაც კი არ აუცდენია.

კუზმას არ ეცალა ახლა ამ უცნაური აფხაზისათვის. მაგრამ, რადგანაც ჰაკის სიტყვები მისგან პასუხის გაცემას ან საქმისაგან მოცდენას არ მოითხოვდნენ, არ უშლიდა ლაპარაკს. მაგრამ „შიდღის“ უფროსს ამის გარდა სხვა მოსაზრებაც ჰქონდა, რომ ჰაკი აძბა დაეახლოებინა და გაეთამამებინა.

საქმე ის არის, რომ კუზმა-მრისხანე თავიდანვე დიდად გააკვირვა ჰაკის ამბავმა. თავდაპირველად არც დაიჯერა მისი თავგანწირულება და თეთრგვარდიელი ოფიცრისადმი გამოჩენილი ერთგულება: ეგონა, რომ ეს იყო ძალდატანება და ჩაგონება თავადების მხრით, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალებდნენ საკუთარი სიცოცხლის განწირვით ბატონის დახსნას სიკვდილისაგან. მაგრამ, როცა საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, მისი რევოლუციური შეგნება ისე აღშფოთდა, რომ ჰაკის კლასობრივი სიბრძნვე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და გულში გადაწყვიტა, ამ იშვიათ ტიპს ახლოს გაცნობოდა, რათა ეცადნა მისი „დამუშავება“. კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზი გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიჟი დაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეჯიბრის გრძნობამ მოიცვა.

და სანამ ზღვაზე უცბად ამოვარდნილი ქარტყილი საშიში გახდებოდა, კუზმა ბევრს ესაუბრა ჰაკის. დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველი მისი ამბავი, მოეფერა, ერთთავად დაიხლოვა და დაიმოყვრა კიდევაც.

ჰაკი აძბა მიხვდა კუზმას განზრახვას. მაშინვე დაჰყვა ნებას. მისი გულის სიღრმეში ისევე იმედმა გაიბრჭყვიალა, რომელიც გემზე ამოსვლისას და მეზღვაურების განწყობილების გაცნობისთანავე სრულიად დაჰკარგა. სიტყვის სითამამე შეემატა და გონების ბუნებრივი სიმახვილე გაუორკვედა. კუზმას მოჰყრობა შეიგრძნო წილადხლომილ ზღაპრულ ბედივით, რომელსაც თავისი გმირები ყოველი განსაცდელისაგან უვნებელი გამოჰყავს.

რაც კი ცხოვრების გამოცდილების მარაგი ჰქონდა, ყველას თავი მოუყარა, თუ რამე ნიჭი გააჩნდა, – მიხვედრის, განჭვრეტის თუ მოაზრების, – ყველა ერთად დარაზმა და კუზმას გულისა და ნდობის მოსაგებად აამოქმედა.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- დაახასიათეთ ამ მონაკვეთის მიხედვით ჰაკი აძბა;
 - დაახასიათეთ ამ მონაკვეთის მიხედვით კუზმა კილგა;
 - იმსჯელეთ, რამ განაპირობა ამ პერსონაჟთა პოზიციების შეუთავსებლობა.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!**

დავალება № 3

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „ძუნწი და ოქრო“:

ერთმან კაცმან დიდძალი ოქრო მიწასა დაფლა. დღე ყოველ მივიდის და ადგილი იგი ნახის. შეამცნოვა ერთმან სხვა კაცმან და თქვა:

– მივიდე, ადგილი იგი მოვთხარო, რომელსა კაცი იგი ხშირად ნახავს, და ვნახო – რა უცანო?

მივიდა და ღამე მოთხარა ოქრო იგი, წაიღო, მის წილ ლოდი დამარხა.

მოუნდა კაცსა მას ნახვა ოქროსი. მოთხარა, ნახა: ოქროსა ნაცვლად ლოდი იღვა. დაიწყო ტირილი და ვაება. მივიდა კაცი იგი მომპარავი, ჰკითხა:

– რას სტირიო?

მან უთხრა:

– ოქრო დაფვალ, დახარჯვა არ მენება, იგი მოუპარავთ და მის წილ ლოდი დაუფლავთ.

უთხრა მან კაცმან:

– ვაი შენ! რად სტირ? მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო, თუცა არ დახარჯედ-ლიო!

ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ გკითხულობთ:

– ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, – ამბობდნენ სოფელში.

მართლა ასე იყო თუ არა, ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა, რომელიც სოფლის მეორე ნაპირას იდგა და მეტად წვრილშვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდო-ლი რამ იყო, გარჯა ეზარებოდა და წვრილშვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთი ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

– აჰა, ხეთქეო, – ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, – დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოსრულს ძვალს გადმო-მიგდებენო. შე არ-დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!..

გლახა-მათხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოუღებოდა.

– ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, – მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, – დაგიბრყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირიღამ აცლი. აი, მე-ხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს? ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს. ქვეყნისა არა გრცხვენინან! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგისმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!..

ერთხელ ერთი მთხოვარა მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია – თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგად, ლაზათიანად გამოგიღანძღათ. როცა მთხოვარა გაბრუნდა, მაშინ შეასწრო თვალი, რომ ფეხები დაჰხეთქოდა ფეხუცმელობით.

– დამაცა, შე არ-დასაცალებელო, – დაუძახა მთხოვარას.

მთხოვარა გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიწარა ექვსი შოთი, მოვიდა მთხოვარასთან და დაუყვირა:

– მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასამარხავო!

გაოცებული მთხოვარა გაჰყვა. ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი გადმოადებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მთხოვარას, რომ საწყაღმა თვალზედ ხელი მიიფარა, ცხვირ-პირში არ მომხედესო.

– აჰა, შე არდასარჩენო, ამოისხი და ჩაიცვი. იქნება ამოსხმაც არ იცოდე შე დასადუპავო.

– რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის? – ჰკითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ.

– მაშ არა-და, მაგის თავის მხემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მიეცემდი, – იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის მთავარი სათქმელი;
- იმსჯელეთ, რა არის „ოთარაანთ ქვრივის“ ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება მოცემულ ტექსტებში წამოჭრილი პრობლემებისადმი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

I ვარიანტი
I. ქართული ენა

1. ოთხზე მეტი ნომრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
5; 6; 7; 9. -----4ქ.
2. თითოეული სწორად შესრულებული დავალება ფასდება 1 ქულით.
1. ✓-----1ქ. 2. ✓-----1ქ. 3. წერს -----1ქ. 4. ✓-----1ქ. 5. ქალაქად -----1ქ.
6. ✓-----1ქ. 7. კედლით --1ქ. 8. დასტეხია -1ქ. 9. გზადავზა-1ქ. 10. გადაუწვავთ --1ქ.
3. თქვენ -----1ქ.
4. პოეტის არქივში ინახება ორი ლექსი, რომლებიც მას სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია. ---1ქ.
5. ბ) -----1ქ.
6. სპილენძისაგან (სპილენძისგან) -----1ქ.
7. რეჟისორი, რომელმაც მთავარი პრიზი მიიღო, ჟურნალისტებს შეხვდა. (ჟურნალისტებს შეხვდა რეჟისორი, რომელმაც მთავარი პრიზი მიიღო). -----1ქ.
8. ბავშვთა სახლის სტუმრები ცნობილი მეწარმეები არიან. -----1ქ.
9. ოთხზე მეტი ნომრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
2; 4; 6; 8. -----4ქ.
10. ოთხზე მეტი ციფრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
4; 5; 7; 8. -----4ქ.
11. გამარჯვებულები ფედერაციის პრეზიდენტმა დააჯილდოვა. -----1ქ.
12. ბ) -----1ქ.
13. შეიქნა -----1ქ.
14. ბ) -----1ქ.
15. გ) -----1ქ.
16. გ) -----1ქ.
17. სამზე მეტი ნომრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
2; 3; 4. -----3ქ.
18. 1. ა) -----1ქ; 2. ბ) -----1ქ; 3. ა) -----1ქ.

II. წაკითხვის გააზრება

1. ა) -----1ქ. 2. ბ) -----1ქ. 3. ა) -----1ქ. 4. გ) -----1ქ. 5. ბ) -----1ქ.
6. გ) -----1ქ. 7. ბ) -----1ქ. 8. გ) -----1ქ. 9. გ) -----1ქ. 10. გ) -----1ქ.

III. ქართული ლიტერატურა

1. ეს სიტყვები ნიშნავს: ეს გზა დაგრჩენია ფეხით გასავლელად (ამ გზის გარდა სხვა გზაზე გავლა აღარ გვიღირსება; ეს გზა უკანასკნელია, რომელსაც შენი ფეხით გაივლი...). „ოთხთა გამოვიღონ“.
1. ეს გზა უკანასკნელია, რომელსაც შენი ფეხით გაივლი -----1ქ.
2. „ოთხთა გამოვიღონ“ -----1ქ.
2. იგი ისე მიდიოდა, თითქოს საკუთარ ნეშტს მიაცილებდა (თითქოს საკუთარ დაკრძალვას ესწრებოდა).
თითქოს საკუთარ დაკრძალვას ესწრებოდა -----1ქ.
3. ეს სიტყვები ნიშნავს: როგორც სარეველა მცენარე (ცუდი, უსამიანი მცენარე...). ბერებს გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს სიტყვა – „იფქლთა“ (იფქლი).
1. სარეველა მცენარე -----1ქ.
2. იფქლი -----1ქ.
4. ფიცის სინონიმია სიტყვა „ზენაარი“. მეგობრის (მოყვრის, საყვარელი ადამიანის) ერთგულების (სიყვარულის) დამტკიცება საქმითაა საჭირო. თინათინი დარდობს ავთანდილთან მოსალოდნელი განშორების (ავთანდილის) გამო. ამ სტროფში ჩანს თინათინის ერთგულება (მეგობრისათვის თავდადების უნარი; მიჯნურის ერთგულება; მზრუნველობა; მოთმინების უნარი; სიმტკიცე; დიდსულოვნება; პასუხისმგებლობის გრძნობა...).
1. ზენაარი -----1ქ.
2. საქმით უნდა დაუმტკიცო მეგობარს სიყვარული -----1ქ.
3. მიჯნურთან განშორების გამო -----1ქ.
4. მეგობრისათვის თავდადების -----1ქ.
5. უბედურების უმთავრესი თვისება ის არის, რომ იგი არ დაიმალება (ჭირი თავს არ დამალავს). პიროვნების მიძიმე სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები: „გულსა უკოდს, სხხვლეტს და მსჭვალავს“.

1. *უბედურება არ დაიმალება* _____**1ქ.**
2. *გულსა უკოდს, სჩხვლელტს და მსჭვალავს* _____**1ქ.**
6. ვახტანგ მეფის პიროვნული ტრავმული განაპირობა იმან, რომ მას სამშობლოში სიკვდილი არ ეღირსა (ემიგრაციაში ყოფნამ; იმან, რომ სამშობლოში ვერ დაიმარხებოდა...).
- ემიგრაციამ* _____**1ქ.**
7. ამ სტროფში გამოხატულია პოეტის იმედგაცრუება (ილუზიების მსხვერვის მტანჯველი განცდა, სასოწარკვეთა...). პოეტი „ცეცხლის დაქრობას“ აბრალებს იმას, რომ მას მოსძულდა (მობუზრდა, შეზიზღდა...) მუხთალი და ამას წუთისოფელი (დასაშვებია აგრეთვე – საწუთროს; სოფელს; წუთისოფელს...).
1. *ილუზიების მსხვერვა* _____**1ქ.**
2. *მოსძაგდა ეს ქვეყანა* _____**1ქ.**
8. პოეტის ტანჯვის მიზეზი ის არის, რომ მას თანამოაზრეები არ ჰყავს (მარტოა).
- თანამოაზრეები არ ჰყავს* _____**1ქ.**
9. განდევილმა დაინახა, რომ ღვთისმშობლის ხატი ნუგეშით უმზერდა (მადლით გადმომზირალი ხატი; ღვთისმშობლის ხატი...). ამ მონაკვეთში ასახულია განდევილის თავზარდაცემა (შეძრწუნება, სასოწარკვეთა...).
1. *დაინახა ღვთისმშობლის ხატი* _____**1ქ.**
2. *თავზარდაცემა* _____**1ქ.**
10. ამ სტროფის მთავარი სათქმელი ის არის, რომ პოეტმა ცხოვრება რეალისტურად უნდა ასახოს (სიმართლე უნდა თქვას).
- სინამდვილის რეალისტური ასახვა* _____**1ქ.**
11. *„მისსა დიდებას საკურთხად“* _____**1ქ.**
12. ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი ის არის, რომ სამშობლოსათვის სიკვდილი სასახელოა, სასიხარულოა [ვაჟკაცის მოვალეობაა სამშობლოსათვის (სახელის მოხვეჭისათვის) თავგანწირვა...].
- სამშობლოსათვის სიკვდილი ადამიანს უკვლავებას ანიჭებს* _____**1ქ.**
13. შედარება გამოყენებულია სტრიქონში: „როგორაც ალყა ტანადა“. პოემის ამ მონაკვეთში ჩანს ჯოყოლას სტუმართმოყვარეობა (გულუხვობა; სტუმარმასპინძლობა...).
1. *„როგორაც ალყა ტანადა“* _____**1ქ.**
2. *სტუმართმოყვარეობა* _____**1ქ.**
14. პლატონის წოდებრივ ამპარტავნობაზე მეტყველებს სიტყვები: „ვინმე ოხერი გვარიშვილის“ („ოხერი გვარიშვილის იყვეს“).
- ვინმე ოხერი გვარიშვილის* _____**1ქ.**
15. მესამე სტრიქონში ავტორი იყენებს შედარებას. ამ სტროფში გამოხატულია სასოწარკვეთა (იმედგაცრუება; ილუზიების მსხვერვა; გულგატეხილობა; უმწეობა; სულიერი სიცარიელე...).
1. *შედარებას* _____**1ქ.**
2. *სასოწარკვეთა* _____**1ქ.**
16. ჰაკის შემფოთებას ის იწვევს, რომ უჯუმს საფრთხე ემუქრება (დასაშვებია აგრეთვე – კუზმას გულგრილობა). იმიტომ, რომ კუზმა კეთილგანწყობას ამჟღავნებდა ჰაკის მიმართ (სახის მეორე ნახევრის გამო).
1. *უჯუმს საფრთხე ემუქრება* _____**1ქ.**
2. *კუზმა კეთილგანწყობას ამჟღავნებდა* _____**1ქ.**
17. ამ მონაკვეთში ჩანს ფარსმანის მჭევრმეტყველება (მოხერხებულობა, ენამახვილობა, ეშმაკობა, ცბიერება, სიფრთხილე, ვერაგობა, ორპირობა, ფარისევლობა...). სიტყვის მოუხელთებლობას აღნიშნავს შედარება: „კალმახით უსხლტებოდა ხელიდან“.
1. *მჭევრმეტყველება* _____**1ქ.**
2. *კალმახით უსხლტებოდა* _____**1ქ.**
18. ამ სტროფში გამოხატულია ლირიკული გმირის სინანული (წუხილი, დარდი, მღელვარება...).
- სინანული* _____**1ქ.**

წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა 20. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება. დავალების მითითება შესრულებულად არჩაითვლება, თუ მასზე ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული ანდა შინაარსი იქნება გადმოცემული.

კრიტერიუმების ჩამონათვალი

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
I	ნაშრომის შინაარსობრივი მხარე და მოცულობა	აბიტურიენტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემული ყოველი მითითების შესახებ.	2
II	ნაშრომის ორგანიზება და ლოგიკურად აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	1
III	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება) და ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება ტექსტური მასალით.	4
IV	ტექსტის ადეკვატურად გაგება და ფაქტობრივი სიზუსტე	აბიტურიენტს მოეთხოვება ტექსტის ადეკვატურად გაგება. ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	2
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება.	3
VI	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოსატყობა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად გამართული იყოს.	3
VII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	3
VIII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	2

I ტაბულა

№	ნაშრომის შინაარსობრივი მხარისა და მოცულობის შეფასების კრიტერიუმები	ქულები
1.	ნაშრომი არ სცილდება მითითებების ფარგლებს და ვრცლად არის შესრულებული (არანაკლებ 220 სიტყვისა).	2
2.	ნაშრომი არ სცილდება მითითებების ფარგლებს და მოკლედ არის შესრულებული (200-დან 220 სიტყვამდე).	1
3.	ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს; მოცემული ტექსტის პერიფრაზია; ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს; 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისაა.	0 ნაწერი აღარ სწორდ ება

II ტაბულა

№	<i>ნაშრომის ორგანიზებისა და ლოგიკურად აგების შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომი ორგანიზებულია და მონაკვეთთა შორის დაცულია ლოგიკური კავშირები.	1
2.	ნაშრომი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან მონაკვეთთა შორის დარღვეულია ლოგიკური კავშირი.	0

III ტაბულა

№	<i>დასაბუთების (არგუმენტირების) უნარის შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	4
2.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
3.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული); ანდა მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	2
4.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული); ანდა <i>სამივე</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
5.	<i>ორი</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV ტაბულა

№	<i>ტექსტის ადეკვატურად გაგების უნარისა და ფაქტობრივი სიზუსტის შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული და ნაშრომში არ არის დაშვებული არც ერთი ფაქტობრივი შეცდომა.	2
2.	ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული და ნაშრომში დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა; ანდა არ არის დაშვებული არც ერთი ფაქტობრივი შეცდომა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	1
3.	ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული და/ან ნაშრომში დაშვებულია ერთზე მეტი ფაქტობრივი შეცდომა.	0

V ტაბულა

№	<i>დამოუკიდებელი აზროვნების უნარისა და ზოგადი განათლების შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ არ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე არ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI ტაბულა

№	ლექსიკისა და სტილის შეფასების კრიტერიუმები	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე ნაწილობრივ დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
4.	ცალკეულ შემთხვევებში ნაშრომში აზრი ბუნდოვანია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და/ან თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	0

VII ტაბულა

№	სინტაქსური კონსტრუქციების შეფასების კრიტერიუმები	ქულები
1.	ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>სამი</i> სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია <i>სამზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა.	0

VIII ტაბულა

№	მორფოლოგიის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის შეფასების კრიტერიუმები	ქულები
1.	არ არის <i>ექვსზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <i>ათზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>ათზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

II განსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2007

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და შეავსეთ პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

მხედველობაში არ მიიღება საგამოცდო ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი (ან შემოხაზული) პასუხები! ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების პირობას და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.

თუ კითხვას **არ ახლავს** აკრძალვა – ციტირება დაუშვებელია – შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით.

ზოგი დავალების შესასრულებლად საჭიროა სწორი პასუხის შემოხაზვა. ასეთ შემთხვევებში გადასწორება **არ შეიძლება!**

იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი იწერება სიტყვიერად, შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

სამი წერითი დავალებიდან აირჩიეთ და შეასრულეთ მხოლოდ ერთი. შეგიძლიათ ნაშრომი ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, შემდეგ კი გადაათეთროთ პასუხების ფურცელში.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), **არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I ქართული ენა

(4) 1. შემოსახეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

1. ეგვიპტის მეფე პტოლემეოს პირველმა თავისი დროის ყველა გამოჩენილ მეცნიერს ალექსანდრიაში მოუყარა თავი. 2. მათ განსაცვიფრებელი აღმოჩენებითა და გამოგონებებით შეძლეს მნიშვნელოვნად განევითარებიათ მეცნიერების სხვადასხვა დარგი. 3. მაგალითად, შესანიშნავმა გეოგრაფმა და მათემატიკოსმა ერატოსთენემ გადაწყვიტა აელწერა დედამიწა და შეედგინა რუკები. 4. მან გამოიანგარიშა დედამიწის როგორც ზედაპირის ფართობი, ისე მისი დიამეტრი და მსოფლოდ უმნიშვნელო შეცდომები დაუშვა. 5. მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მიღწევად ალექსანდრიის შუქურა ითვლება. 6. ეს იყო 120 მეტრი სიმაღლის კოშკი, რომლის გუმბათში ჩაუქრობელი ცეცხლი ენთო. 7. ცეცხლის შუქი ლითონის სარკეებით ძლიერდებოდა და მეზღვაურთათვის შორიდანვე თვალში იყო საცემი. 8. სარკეების სისტემა სხვა პრობლემასაც წყვიტავდა, კერძოდ, მისი საშუალებით აკონტროლებდნენ ზღვის სივრცეს. 9. მეთვალყურეებს გემების შემწევა მანამ შეეძლოთ, სანამ ისინი ქალაქს მიუახლოვდებოდნენ.

(10) 2. მოცემულ ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. ოთხ სტრიქონში შეცდომა არ არის, ექვსში კი თითო-თითო შეცდომაა. სტრიქონის ნომრის გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ თითოეული ეს სიტყვა სწორი ფორმით; თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა ✓.

ნიმუში: 0 განსაკუთრებული მღებარეობის გამო დმანისის, როგორც სტრატეგიული 0 პუნქტის, მნიშვნელობა სულ უფრო იზრდებოდა და მე-IX საუკუნეში იგი 1 უკვე ქალაქი გახდა. არაბების დროს აქ ცოტა ხანით ამირაც კი მჯდარა. 2 1123 წელს დიდგორის ომში გამარჯვებულმა დავით აღმაშენებელმა მალე 3 თბილისთან ერთად დმანისიც გაათავისუფლა. საუკუნეების განმავლობაში 4 ქალაქს მრავალი გასაჭირი უნახია, მაგრამ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში 5 იგი თემურლენგის შემოსევებისას აღმოჩნდა. მტრის სასტიკი ჯარი სწავდა 6 და ანადგურებდა ყველაფერს. მეთვრამეტე საუკუნეში დმანისს ხან და ხან 7 ლეკები ესხმოდნენ თავს. მას არც ოსმალოთა და არც სპარსელთა რბევა 8 მოკლებია. მტრების განუწყვეტელი შემოტევების გამო დმანისი საუკუნის 9 ბოლოს თითქმის მთლიანად დაცლილა მოსახლეობისაგან და ნანგრევებად 10 ქცეულა. ნაქალაქარი დღესაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ნიმუში: 0 ---- ✓ ----
0 --- IX ---

(1) 3. დაწერეთ ნაცვალსახელი შენი შესაბამისი ფორმით.
. . . შესახებ ბევრი კარგი რამ მსმენია.

(1) 4. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
აუქციონზე გამოიტანეს ორი ხელნაწერი, რომელიც კულტურის სამინისტრომ შეიძინა.

(1) 5. რომელი სიტყვაა გამოტოვებული? (სწორი პასუხი შემოსახეთ)
ხომ ვამბობდი, დღის ბოლომდე ამინდი არ
ა) შეიცვლება-თქო; ბ) შეიცვლება-მეთქი; გ) შეიცვლებაო.

(1) 6. დაწერეთ არსებითი სახელი ბალახი შესაბამისი თანდებულებანი ფორმით.
ეკოლოგიურად სუფთა საღებავებს . . . ამზადებენ.

(1) 7. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
კომპოზიტორმა, რომელმაც ფილმისათვის მუსიკა დაწერა, ფესტივალზე მიიწვიეს.

(1) 8. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
ასოციაციის დამფუძნებლები დვაწლმოსილი მეცნიერებია.

(4) 9. შემოსახეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

1. კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II, ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი, დაიბადა 1855 წელს.
 2. კიევის სასულიერო აკადემიის დასრულების შემდეგ იგი სამშობლოში დაბრუნდა და რამდენიმე ქალაქებში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 3. ამასთან ერთად, კირიონი ქართულ სიწმინდეებსაც აგროვებდა, რადგან მომავალი თაობებისათვის შემოენახა ისინი. 4. ამ გზით მან არაერთი სიძველე იხსნა განადგურებიდან. 5. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის. 6. ქართულ-რუსულ ურთიერთობებს ეძღვნება მისი ნაშრომი, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია რუსეთში. 7. კირიონი თავდაუზოგავად იბრძოდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად. 8. 1917 წელს, როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალია გამოცხადდა, საგანგებო საეკლესიო კრებამ იგი კათალიკოს-პატრიარქად აირჩია. 9. 1918 წლის 26 ივნისს კირიონ II ვერაგულად მოკლეს.

(4) 10. **შემოხაზეთ ის ოთხი ციფრი, რომელთა ადგილას გამოტოვებულია სასვენი ნიშნები.** (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

აღრიცხვის მსგავსი სისტემები(1) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად(2) გაჩნდა უძველეს შუამდინარეთში(3) მაიას ტომსა და ინდოეთში. მაიას ტომის ინდიელები(4) ციფრების აღმნიშვნელ სიმბოლოებად წერტილსა და ხაზს იყენებდნენ. ერთს(5) ისინი წერტილით გამოსახავდნენ(6) ხუთს(7) ჰორიზონტალური ხაზით. ამ სისტემაში უკვე ნულის ნიშანიც არსებობდა(8) რომელსაც დახუჭული თვალის ფორმა ჰქონდა. საჭირო რიცხვის მისაღებად(9) ინდიელები შეკრების პრინციპს იყენებდნენ და სიმბოლოებს სვეტებად წერდნენ.

(1) 11. **გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი და ისე გადაწერეთ წინადადება** (წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ).

თანამშრომლების შერჩევა ტესტირების შედეგების მიხედვით მოახდინეს.

(1) 12. **უდაბური ტყე არის:**

ა) უსიერი; ბ) უშვერი; გ) უხიაგი. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 13. **რომელი სიტყვაა გამოტოვებული: ცნებებად თუ მცნებებად?**

კანონიერება და სამართლიანობა იდენტურ . . . მოიაზრება.

(1) 14. **რომელი სიტყვაა გამოტოვებული?**

. . . წლის განმავლობაში ეს პრობლემა მოუგვარებელი იყო.

ა) ბევრი; ბ) მრავალი; გ) უთვალავი. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 15. **რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება – წყლიდან მშრალი გამოვიდა?**

ა) თავი არავის დააჩაგვრინა; ბ) თავი მოხერხებულად დაიძვრინა; გ) თავისი უპირატესობა დაამტკიცა. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 16. **შემოხაზეთ მართებული შესიტყვება:**

ა) დადი დაასვა; ბ) დადი დაატყო; გ) კვალი დაასვა.

(3) 17. **შემოხაზეთ იმ სამი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზები გვხვდება.** (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

1. მოსახლეობის ზრდის გამო საჭირო გახდა ქალაქების უზრუნველყოფა სწრაფი სატრანსპორტო საშუალებებით. 2. ამ საკითხთან მიმართებაში ინტერესი საქართველოშიც გაჩნდა. 3. პირველი საქალაქო სარელსო ტრანსპორტი თბილისის ქუჩებში მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში ამოქმედდა. 4. ცხენიანი ტრამვაის, ე. წ. „კონკის“, მგზავრები პატარა ღია ვაგონებით მგზავრობდნენ. 5. ტრამვაის გაჩერება კონდუქტორის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. 6. ახალი ტრანსპორტი უცხოელი კაპიტალისტების მოგების წყაროდ იქცა. 7. მოგვიანებით ადგილი ჰქონდა ცხენიანი ტრამვაის შეცვლას ელექტრონულით, თუმცა, 1910 წლამდე იგი ჯერ კიდევ მოძრაობდა თბილისში.

(3) 18.

ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)
--

სატურნი თავისი რგოლით ყველაზე საოცარი პლანეტაა მზის სისტემაში. პირველად გალილეიმ აღმოაჩინა, რომ იგი რაღაცით იყო გარშემორტყმული. როგორც (1) . . . დაკვირვებების შედეგად დადასტურდა, ეს არის სამი დამოუკიდებელი რგოლი, რომლებიც პლანეტას არსად არ

ეხება. სატურნს (2) . . . თავისებურებანი ახასიათებს. მას მზის სხივები დედამიწასთან შედარებით 90-ჯერ უფრო (3) . . . ანათებს.

- | | | | |
|----|--------------------|----------------|----------------|
| 1. | ა) ხანგადასული; | ბ) ხანგრძლივი; | გ) ხანდაზმული. |
| 2. | ა) განსაკუთრებული; | ბ) რჩეული; | გ) საგანგებო. |
| 3. | ა) იოლად; | ბ) მსუბუქად; | გ) სუსტად. |

II. წაკითხვის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. შეკითხვებს ყურადღებით გაეცანიოთ და მოცემული სამ-სამი პასუხიდან სწორი შემოხაზეთ (*დაუშვებელია პასუხების ფურცელში შემოხაზული ასოს წაშლა და მის ნაცვლად რომელიმე სხვა ასოს შემოხაზვა*).

- ყველა ქართველმა ლამის აკენის ასაკიდანვე იცის (უნდა იცოდეს), რომ ის არის რაინდული ქვეყნის შვილი, რაინდთა შთამომავალი, და ცხოვრებაშიც მართებს რაინდული ზრდილობა, ერთგულება, ღირსება და სხვა მსგავსი თვისებებით აღჭურვა.
- მაგრამ საქმეს თუ ბოლომდე ჩავეძიებით, აღმოჩნდება, რომ ყველამ როდი იცის, თუ რა არის ეს „სხვა მსგავსი თვისებები“, საერთოდ რას ნიშნავს „რაინდი“ და „რაინდობა“. ქართველნი იმპულსურად არიან რაინდულ თვისებათა მატარებელნი და არა ცნობიერად. ოღონდ მუდამ ასე არ იყო.
- საქართველოში რაინდად იმთავითვე ზრდიდნენ წოდებრივი იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე მდგომ პირებს – უმაღლესი არისტოკრატით დაწყებული უბრალო აზნაურამდე.
- თვით აღზრდის სისტემა ძალიან ჰგავდა დასავლეთევროპულს: ფიზიკური წრთობა, ცხენოსნობაში, იარაღის ხმარებაში, ნადირობაში, სპორტულ თამაშებში დახელოვნება, თავგანწირვის უნარი, სიმამაცის, გამძლეობის, ღირსების გრძნობის, პირმტკიცობის, უღალატობის, დახვეწილი მანერების, უხადო ზრდილობის გამომუშავება, მანდილოსნებისადმი გამორჩეული პატივისცემა, აგრეთვე ერთი, იქნებ სპეციფიკურად ქართული თვისება – მეგობრობის ნამდვილი კულტი და, რაღა თქმა უნდა, შესატყვისი განათლება, ზნეობა, მაღალი სულიერებისადმი სწრაფვა.
- ეს უკანასკნელი მომენტი კიდევ ერთი საკითხისადმი მიგვაპრობინებს ყურადღებას, დასავლეთევროპული და ქართული რაინდობის უმთავრეს სხვაობას წარმოაჩენს.
- საქართველოში არავითარი რაინდული ორდენები არ შექმნილა, არც გრაალის პრობლემა წამოჭრილა და არც მეფე არტურს უცხოვრია ოდესმე. რაინდული აღზრდის სისტემა, რაინდული კოდექსი აქ წერილობით გაუფორმებელი სახით ჩამოყალიბდა და ერის რჩეული ნაწილის ფსიქო-ფიზიკურ მიდრეკილებებს ემყარებოდა სტიქიურად.
- თვით ტერმინი „რაინდი“ კი გაცილებით გვიან დამკვიდრდა და არა, ვთქვათ, მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებიდან, როდესაც საქართველოში რაინდული ყოფის პირველი ნიშნები გამოჩნდა (რაინდობის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინები: „მოყმე“ და „ჭაბუკი“, „ჭაბუკობა“).
- მიუხედავად ამისა, რაინდული ცხოვრების წესი, რაინდული ზრდილობა საზოგადოების ელიტარული ნაწილის მიუცილებელ ნიშნად ითვლებოდა საუკუნეთა განმავლობაში და ყოველი დიდებული, თავადი თუ აზნაური ცდილობდა ჭეშმარიტ რაინდებად აღეზარდა თავისი ნაშიერნი.
- ეს მიდრეკილება მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეებშიც გაგრძელდა. მაგრამ რაკი ამ ხანაში რაინდულ საბრძოლო თვისებათა გამოვლინების ასპარეზი სულ უფრო იზღუდებოდა, აქცენტი უპირატესად განათლებაზე, სულიერ, ზნეობრივ სიქველეთა შეთვისებასა და ქცევის ნორმების, ეტიკეტის დაცვის უნარზე იქნა გადატანილი.
- ასე ჩამოყალიბდა (ქალაქად თუ სოფლად) ინტელიგენცია ამ სიტყვის თანადროული გაგებით. და ამ ინტელიგენციის ბირთვის, მეცხრამეტე საუკუნეშიც, მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებშიც, შეადგენდნენ სწორედ ელიტარული ფენები, დაუწერელი, თაობიდან თაობას გადმოცემული რაინდული კოდექსის ბოლომდე ერთგულნი და რაინდულივე ტრადიციების სათუთად დამცველნი...

რევაზ თვარაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 2001 წ.

(1) 1. რა არის მეორე აბზაცის უმთავრესი აზრი?

- ქართველთა უმრავლესობამ იცის, თუ რა არის ეს „სხვა მსგავსი თვისებები“;
- ქართველთა უმრავლესობას გააზრებული არ აქვს, რას ნიშნავს „რაინდობა“;
- ქართველნი ცნობიერად არიან რაინდულ თვისებათა მატარებელნი.

- (1) **2. რა არის მესამე აბზაცის ფუნქცია?**
 ა) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გამეორება; ბ) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების განვითარება; გ) პირველ აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უარყოფა.
- (1) **3. რა აკავშირებს მეექვსე აბზაცს მესუთე აბზაცთან?**
 ა) მეექვსე აბზაცში გადასინჯულია მესუთე აბზაცში გამოთქმული მოსაზრება;
 ბ) მეექვსე აბზაცში დასაბუთებულია მესუთე აბზაცში გამოთქმული მოსაზრება;
 გ) მეექვსე აბზაცში შეჯამებულია მესუთე აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.
- (1) **4. რა არის მეშვიდე აბზაცის უმთავრესი აზრი?**
 ა) მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში საქართველოში რაინდული ყოფის პირველი ნიშნები გამოჩნდა; ბ) ტერმინი „რაინდი“ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში დამკვიდრდა საქართველოში; გ) ტერმინი „რაინდი“ უფრო გვიან გაჩნდა, ვიდრე თავად ეს მოვლენა.
- (1) **5. რომელ აბზაცშია გამოსატული აზრი, რომ საქართველოში სურდათ შვილების რაინდებად აღზრდა?**
 ა) I აბზაცში; ბ) IV აბზაცში; გ) VIII აბზაცში.
- (1) **6. რომელი სიტყვა აღნიშნავს გრძნობებს აყლილს?**
 ა) ელიტარული; ბ) იმპულსური; გ) სტიქიური.
- (1) **7. რის მეშვეობით ასაბუთებს ავტორი საკუთარ თვალსაზრისს?**
 ა) ორიგინალური მსჯელობის მეშვეობით; ბ) სხვა ავტორთა ნაშრომების ციტირების მეშვეობით; გ) სხვა მოაზროვნეებთან კამათის მეშვეობით.
- (1) **8. რის შესახებ არ მსჯელობს ავტორი ამ ტექსტში?**
 ა) ევროპული და ქართული რაინდობის განსხვავების შესახებ;
 ბ) ელიტარული ფენების სიმამაცისა და გამძლეობის შესახებ;
 გ) ინტელიგენციის წარმოშობისა და მისი რაობის შესახებ.
- (1) **9. რა არის მთელი ტექსტის ფუნქცია?**
 ა) ინტელიგენციის წარმოშობის მიზეზების ჩვენება; ბ) რაინდული აღზრდის სისტემის ჩვენება; გ) ქართული ინტელიგენციის თავისებურებების ჩვენება.
- (1) **10. რა არის მთელი ტექსტის უმთავრესი აზრი?**
 ა) საქართველოში ინტელიგენცია რაინდობის ტრადიციებზე აღმოცენდა;
 ბ) საქართველოში XIX-XX საუკუნეებში რაინდობის ასპარეზი შეიზღუდა;
 გ) საქართველოში უძველესი დროიდან ყველას რაინდებად ზრდიდნენ.

III. ქართული ლიტერატურა

- (2) **1. იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:**
 „და გულსა ეტყოდა პიტიახში... ვითარმედ: „ნუჟკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს“. და მიერთიგან არღარავინ მიაგლინა მისა. ხოლო წმიდაი შუშანიკ ბოროტა მათ გუემათა დათმენათათვის იტყოდა, რაითამცა სათნო ეყო ღმერთსა“.
1. *განმარტეთ*, რა ამოდრავებდა პიტიახშს, როდესაც „არღარავინ მიაგლინა მისა“. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *ამოიწერეთ* დედოფლის ქცევის მოტივაციის აღმნიშვნელი სამი სიტყვა.
- (1) **2. იოვანე საბანისძე მოგვითხრობს:**
 „და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტესმიერთა სიყუარულითა შემეყვარე მე, ვიდრე იყავდა სოფელსა ამას შინა ჩუენსა“.
- გადმოეცით* თქვენი სიტყვებით მთელი ფრაზის შინაარსი. (ციტირება დაუშვებელია!)
- (2) **3. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:**
 „...ხოლო განსაკვირვებელ იყო ხსოვნებაი მისი. რამეთუ აწ არს ხანძთას ხელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოი იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“.
1. *განმარტეთ*, რას ნიშნავს სიტყვები: „ხელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა...“
2. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომლებიც აღნიშნავს საგალობელთა კრებულს.

(4) **4. ავთანდილი მიმართავს როსტევანს:**

„რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამჩეს გული ავლად;
თქვენვე გნახნე მხიარულნი, დიდებით და დავლა-მრავლად!
მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად“.

1. *განმარტეთ*, რას ნიშნავს სიტყვები: „რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად, გარდამხდეს...“
2. *რა* სურს მეფისათვის ავთანდილს? (ციტირება დაუშვებელია!)
3. *გადმოეცით* თქვენი სიტყვებით მეოთხე სტრიქონის აზრი.
4. ავთანდილის *რა* თვისება ვლინდება ამ სტროფში?

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:**

„მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების,
მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების!
წამხდენელთა და მბაძველთა კიდევ სხვაც რამ წაუხდების,
ძრახვავე სჯობს საძრახავთა, ძრახვას კაცი მოუფთხვების“.

1. *დაასახელეთ*, ავტორის აზრით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სიმართლის თქმას თავად მთქმელისათვის. (ციტირება დაუშვებელია!)
2. *დაასახელეთ*, კონკრეტულად რის გამო ამბობს ავტორი, რომ უმჯობესია, გასაკიცხი გაიკიცხოს. (ციტირება დაუშვებელია!)

(1) **6. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „სადამო გამოსაღმებისა“ ვკითხულობთ:**

„მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსაღმის ჟამს კავკასსა,
თავსა ესხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!“

ამოიწერეთ ოთხი სიტყვა, რომლებიც მარადიული თოვლით დაფარული მთების მწვერვალებს აღნიშნავს.

(2) **7. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო...“ ვკითხულობთ:**

„მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოველი გრძნობა, გული და სული,
და კაცთა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?“

1. *რას* საყვედურობს პოეტი ბანოვანს? (ციტირება დაუშვებელია!)
2. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელიც მშვენიერების დანიშნულებას გამოხატავს.

(1) **8. ილია ჭავჭავაძის ლექსში „მას აქეთ, რაკი...“ ვკითხულობთ:**

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება“.

ამოიწერეთ სტრიქონი, რომელშიც ჩანს, რომ პოეტი ყურადღებით აკვირდება სამშობლოს მდგომარეობას.

(2) **9. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი“ ვკითხულობთ:**

„[ოთარაანთ ქვრივისათვის] გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, – დიამბევი მობრძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, და ასეთი ვაი-ვაგლახი დააწია, რომ ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო“.

1. ოთარაანთ ქვრივის *რა* თვისება ჩანს ამ მონაკვეთში?
2. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს აზრს – ერთიორად აზღვევინა.

(1) **10. აკაკი წერეთლის ლექსში „ჩანგური“ ვკითხულობთ:**

„ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების,
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების!“

განმარტეთ, რა არის პოეზიის დანიშნულება ამ სტროფის მიხედვით? (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 11. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ სახლთუხუცესი მიმართავს თორნიკეს:

„შედი, მარტოა კათალიკოსი,
ნუ ეგულები იქ დიდ კრებასა,
ჩვეულებრივად ცრემლით მლოცველი,
ექლევა საღმრთო ნეტარებას“.

ამოიწერეთ ის ორი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს კათალიკოსის სულიერ მდგომარეობას.

(1) 12. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გონა“ გკითხულობთ:

„სააქაოს მოელოდა სანეტარო ხსენება და საიქიოს – ზეციური ჯილდო. მაშასადამე, ამგვარი რწმუნების ხალხისთვის ბრძოლა თვითმყოფელობისთვის, თავის მიწა-წყლის დასაცავად მეჯლისში წასვლას ემსგავსებოდა“.

განმარტეთ, რა არის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 13. ვაჟა-ფშაველას პოემაში „აღუდა ქეთელაური“ აღუდას კურატი მიჰყავს შესაწირად:

„მოქუნდა ქალი და კაცი
სახვეწრით ცხვრით და ხართა:
მთარმევიანი ბატონსა
სახვეწარს ბელის კართა.
ეს ვინდა მოდგა, ნისლივით,
თითბრით ნაზიკის ხმალითა?
ხევის ბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა“.

1. ამოიწერეთ სტრიქონი, რომელშიც შედარებაა გამოყენებული.

2. აღუდას რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ მონაკვეთში?

(1) 14. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ გკითხულობთ:

„– მამა?.. ვაი მისი გაძაღლებული სიცოცხლე! – ამოიხვნეშა დარიკომ, – რა ვქნა, ძმაო, ვეღარ მივხედე მე უბედურმა ამ გაჭირვების, გამწარების ხანს... ან კი რა გაახარებს მის გულს, დედინემის დამკარგველს!.. ხომ არ ავადმყოფობს მაინც, შენ დაგენაცვლე?“
რატომ უწოდებს დარიკო მამის ცხოვრებას გაძაღლებულს? (დაასახელეთ კონკრეტული მიზეზი)

(2) 15. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „თოვლი“ გკითხულობთ:

„მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი,
ვით უბინაოს – ყოფნა ბინაში...
თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი
და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე“.

1. დაასახელეთ, რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეორე სტრიქონში.

2. განმარტეთ, პოეტის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ სტროფში.

(2) 16. ლეო ქიანელის მოთხრობაში „ჰაკი აბბა“ გკითხულობთ:

„სოხუმის მოქალაქენი, რაკი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ „შმიდტის“ მეზღვაურებმა მათ შიში არ გაუმართლეს, რომ ყველას წესიერად ეჭირა თავი და ქალაქის დარბევას თუ სხვა ასეთი საშინელების ჩადენას არავინ ფიქრობდა, სიხარულისაგან ცას ეწეოდნენ. არ იცოდნენ, თავიანთი აღტაცება სტუმრებისათვის როგორ გამოემუქვანებიათ და მათდამი უცბად აღძრული სიყვარული რა სახით გამოეფინათ“.

1. რა აშინებდათ სოხუმის მოქალაქეებს? (დაასახელეთ კონკრეტული მიზეზი)

2. ამოიწერეთ ფრაზა, რომლითაც გამოხატულია საზოგადოების მლიქვნელობა. (არა უმეტეს ოთხი სიტყვისა)

(2) 17. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ კათალიკოსი დედოფლის შესახებ ესაუბრება ზვიად სპასალარს:

„შემომჩიოდა მეფის გულარძნილობის გამო, გადაწყვეტილი მაქვსო ბედიის სადღო მონასტერში მონაზვნად აღკვეცა. მოგეხსენება, მარიამ დედოფალს წმინდანად შეჰრაცხს ეკ-“

ლესია საქართველოს ოდესმე, მაგრამ იმუამად მონაზვნად აღკვეცა მისი უთუოდ საზიანო იქნებოდა სამეფოს ჩვენისათვის“.

1. რაში ადანაშაულებდა დედოფალი მეფეს? (ციტირება დაუშვებელია!)
2. განმარტეთ, როგორ აფასებს კათალიკოსი მარიამის ღვაწლს. (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 18. გიორგი ლეონიდის ლექსში „ღამე ივერიისა“ ვკითხულობთ:

„ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დავწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო“.

ამოიწერეთ სტრიქონი, რომელშიც ავტორი შედარებას იყენებს.

IV. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს, გაიაზრეთ ისინი, აირჩიეთ და შეასრულეთ მათგან მხოლოდ ერთი. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ შეფასდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მსედველობაში არ იქნება მიღებული.

თითოეულ წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი ნაწარმოების შინაარსის თხრობა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტექსტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). თხზულებისათვის გამოყოფილი ფურცლის დასაწყისში მოცემულია წერითი დავალებების ნომრები (№1, №2 და №3); შემოსაზრეთ ის ციფრი, რომელიც თქვენ მიერ არჩეული დავალების ნომერს შეესაბამება (შეცდომა გადახაზეთ, ნუ დაჯდაბნით).

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

დავალება № 1

ნურადინ-ფრიდონი ტარიელს უამბობს ბიძაშვილებთან შებრძოლების ამბავს:

„მამის ძმა და მამაჩემი პაპაჩემთან გაყვნა ოდეს,
ზღვასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს.
თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა, ვისთა შვილთა აწ დამკოდეს;
მათვე დაჰჩრა სანადირო, არ მივსცემდი, მომერჩოდეს.

.....
მათი მესმა, დავინახე ზახილი და ხრმალთა ელვა,
ნავი ვსთხოვე მენავეთა, მით ვიყივლე მე ერთხელ ვა,
ზღვასა შევე, მომეგება მეომარი, ვითა ლელვა,
სწადდა, მაგრა ველარა ქმნეს ჩემი ზედა წამოქელვა.
კვლა სხვანი დიდნი ლაშქარნი უკანა მომეწოდეს,
იქით და აქათ მომიხდეს, ერთგნით ვერ მომერეოდეს,
არ მომწურვოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს,

ხრმალსა მივენდე, გამიტყდა, ისარნი დამელეოდეს...
აწ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღმრთისა წადილსა,
ვეჭვ, ჩემი სისხლი არ შეჭრჩეს, ძალი შემწვედეს ქადილსა!
ოსრად გაეუხედი ყოფასა მათ საღამოსა და დილსა,
ვეხმობ ყვაგთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქმნევ ხადილსა!“

ნურადინ-ფრიდონმა ტარიელის დახმარებით იძია შური თავის ბიძაშვილებზე;

„თვით ორნივე ბიძასძენი მისნი ხრმლითა ჩამოყარნა,
ხელნი წმიდად გარდეკვეთნეს, იგი ასრე ასაპყარნა,
მოიტანნა მხარ-დაკრულნი ერთმან ორნი, არ დაყარნა,
მათნი ყმანი გაამტირლნა, მისნი ყმანი ამაყარნა...
ფრიდონ ნახნა საჭურჭლენი და ბეჭედნი მისნი დასხნა,
თვით ორნივე ბიძასძენი დაპყრობილნი წამოასხნა.
მისთა ნაცვლად სისხლნი მათნი მოღვარნა და ველთა ასხნა...“

ნურადინ-ფრიდონმა რომ გაიგო, მის მიერ ნანახი ქალი ტარიელის მიჯნური იყო, მეგობარს უთხრა:

„...ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხეებს,
მას ლახვარსა მოაშორებებს, თუცა პირველ გულსა უხეებს,
იგი მოგვცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს,
ჭირსა ღხინად შეგვიცვალებს, არათ ოდეს შეგვაწუხებს...“
კაცნი იხმნა მასვე წამსა, ესე საქმე დავიურვეთ,
უბრძანა, თუ: „ნავებითა წადით, ზღვა-ზღვა მოიცურვეთ,
მოგვინახეთ, საყვარელსა მისსა მისთვის მოასურვეთ;
თავთა ჭირი უათასეთ, რადმც უშვიდეთ ანუ ურვეთ!“

ქაჯთაგან ნესტან-დარეჯანის გამოხსნის შემდეგ ფრიდონმა ტარიელსა და ნესტანს ქორწილი გადაუხადა:

„მოიდეს ძღვენი უსახო ფრიდონის არ-აღქატისა,
ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა,
კვლა ერთი თვალი, სამსგავსო მზისა შუქ-მონამატისა,
მას წინა ღამით ძალ-ედვის მხატვარსა ხატვა ხატისა...
ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა;
ყოვლთა დღეთა მიართმიდის უფასოსა ძღვენსა მზასა;
დღე და ღამე არ გასწყვედდის ჩაღანა და ჩანგი ხმასა.
აჰა, მიჰხვდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა“.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნურადინ-ფრიდონის თვისებების შესახებ პირველი და მეორე მონაკვეთების მიხედვით;
- იმსჯელეთ, ნურადინ-ფრიდონის ხასიათის რა თვისებურებები ჩანს მესამე და მეოთხე მონაკვეთებში;
- შეაჯამეთ მსჯელობა და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ამ პერსონაჟის მიმართ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?“:

ერთხელ ესე დაღონებული აქეთ ტახტზედ გულდაღმა იწვა ლუარსაბი, იქით ტახტზედ კიდევ კნენა დარეჯანი წინდასა ჰქსოვდა. ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო. ხმაგაკმენდილი ჭერს გაუშტერა თვალი და ჰფიქრობდა, იმაზედ ჰფიქრობდა, როგორ მოახერხოს, რომ შვილი გაუჩნდეს. – „განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს? – ამბობდა თავისთავად, – შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულზედ გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინო, თორემ ეს ჯავრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი, რომ შვილი არა მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!“

ეს რომა სთქვა თავის-თავად, გადმობრუნდა დარეჯანისაკენ დაღონებული და მწუხარე ხმით უთხრა:

– ესლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულ-დედულზედ გავახაროთ!.. დარეჯან! შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰქმობე, დავითის გამო-

ჯავრებით მაინც ჰშობე, რომ სხვა არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდ მამკალ. შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! თუ გიყვარდე, აი!

– ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, თუ აგრეა! – უპასუხა კენინამ ისე, ასე გგონია მართლა ამის ხელში იყოს შეიღის შობა. – წუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა – ფეხებამდინ უმტკვერო ქაღალდივით წვერი ჰქონდა – ერთი წამალი დამალევიდა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობო! მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვიე, შენ მაგიერადაც ვემთხვიე.

- მართლა? – წამოიძახა იმედმოცემულმა ლუარსაბმა, – ისე თვალთა ნახე?
- აი, როგორც შენა გხედავ.
- შენი ჭირიმე!.. მაშ იმედია, დარეჯან-ჯან!
- მაშ ქა!
- ჰო, შენ გეთაყვანე, შენა! – დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა, – როგორ გითხრა?
- გამრავლდიო, ვითარცა იაკობ.
- იაკობი ვინ იყო?

დარეჯანმა არ იცოდა, ვინ იყო. ისე კი გაეგო, მგონი – წირვა-ლოცვაზედ, იაკობის სახელი, და ვინ იყო, რა იყო, როდის იყო – ამაების არა იცოდა-რა. მაგრამ არ-ცოდნა ითაკილა, ისევ რა-ღაცა მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამ-გვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე.

– ვინ იყო? – იკითხა დარეჯანმა – წირვა-ლოცვაზედ მაინც არ გაგიგია?.. აბრაამის მძახლის განაყოფის შვილი იყო.

- ეხლა, გამრავლდიო, ვითარცა იაკობ, მითამ რაო?
- მითამ ისაო, რომ გამრავლდიო, – აუხსნა დარეჯანმა.
- აი, ვენაცვალე იმის ენას! მაშ იმედია?
- კიდევ! ნუ იცი შენ ეგ, ნუ! ნუ ხარ უჯერო, ცოდვია.
- აღარ ვიქნები, აღარ, ოღონდ შენ შვილი ჰშობე, თუნდა ენასაც მოვიკვნეტ, ოღონდ კი დავითს ნუ გაახარებ.
- ღმერთია მოწყალე! გეუბნები, არ გავახარებ-მეთქი.
- ახ, ნეტავი კი მართლა ჰშობო და.
- კიდევ! ნუ ხარ უჯიათი, წმინდა კაცის სიტყვაზედ როგორ ხარ უჯერო, რა დაგემართა?!
- აი, დალახვრა ღმერთმა! ჩემ-თავად გულში უნდა მეთქვა – ღმერთმან იცის – და აკი კიდევ წამომცდა. ახ, ნეტ...

– კიდევ!
– ფუი, დალახვრა ღმერთმა! კინაღამ კიდევ არ წამცდა!.. ეხლა, მეტად რომ მინდა, იმიტომ, თორემ... ეჰ, გადავბრუნდები, დავიძინებ, თორემ, მე რომ ვიცი ჩემის ენის ამბავი, ერთს კიდევ წამომაროშვინებს რასმეს და ღმერთი მიწყენს.

– თელეთისა არ იყოს! იმდენი ამუნათე, იმდენი იძახე – შორს არისო, რომ გაგვიწყრა და, აი, დღესაც შვილი არა გვყავს.

– მერე აკი მაშინვე შევეხვეწე, ნუ გაჯავრდები-მეთქი. რატომ არ მაპატივა! რა ვუყოთ, რომ „შორს არის“-მეთქი ერთხელ წამომცდა? ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებო.

- კარგი, კარგი! რაც იყო, იყო; ეხლა მაინც არ აწყენინო.
- მაშ დავიძინებ.
- შენი ნებაა.

ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან მადლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- დაახასიათეთ ლუარსაბი მოცემული ტექსტის მიხედვით;
- დაახასიათეთ დარეჯანი მოცემული ტექსტის მიხედვით;
- იმსჯელეთ, რა არის მოთხრობის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 3

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „სოფლის მაშენებელი“:

ერთი ძაღლი და ერთი მამალი დამოხობილდნენ: – სოფელი ავაშენოთო!

ძაღლმან უთხრა:

– როგორ ავაშენოთო?

მამალმან უთხრა:

– შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებო.

წავიდნენ ტყეში. ძაღლმან ყეფა დაიწყო და დაეძინა. მამალი ხეზე შეჯდა. ყვილი დაიწყო. მელს ხმა ესმა, მოვიდა, მამალს ჰკითხა:

– მანდ რასა იქმო?

მამალმან უთხრა:

– სოფელს ვაშენებო.

მელმან უთხრა:

– ჩამოდი, სახლის ალაგი მომიზომეო!

მამალმან უთხრა:

– მამასახლისი მანდა წევს, გააღვიძე, ეგ მოგიზომოსო!

მელი მამლის ნლომითა სცდა და ველარა გაიგო რა.

ძაღლთან მივიდა, მამასახლისობით უხმო:

– ადე, სახლის ალაგი მინდაო.

წამოდგა ძაღლი, მელს გამოუდგა, დაჩეჩქვა და კუდი მოსწვევითა. დაკოდილი წავიდა. გაგლეჯილი, ნათრევი გორაზე წამოდგა და დაუძახა:

– მე ხომ ჩემი ჭკუისა დამემართაო და, თუ თქვენ მაგ საქმით სოფელი ააშენოთ, თქვენც შეიტყობთო!

მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“ ვკითხულობთ:

თუ ვინმე გაჰბედავდა და თეიმურაზს კამათს აუტყუებდა, ქალაქის ჩრჩილი მოპირდაპირეს უმაღლ ავტორებისა და ციტატების სეტყვით გააბრუებდა.

სადაც მცირედი დავა და კამათი ასტყდებოდა შესახებ რომელიმე ამბავის სისწორისა ან მცნების განმარტებისა, იმის მაგიერად, რომ მოდავეებს ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩაეხედნათ, დავის გადასაჭრელად თეიმურაზთან მივბოდნენ. თეიმურაზიც ცნობას და განმარტებას ხალისით აძლევდა. თან ორ-სიტყვიან ცნობას რთულ ლექციად გადააქცევდა. ერთ ნათქვამს მოიმიზეზებდა, უბრალოს გაართულებდა, გაჰყვებოდა, გასჭიმავდა და მსმენელს ისე გაჰპუდავდა, რომ ერთმანეთს ძლივს-და დაშორდებოდნენ ხოლმე. ამის გამო ვიღაცამ თეიმურაზს ცოცხალი ენციკლოპედია დაარქვა. მას აქეთ თეიმურაზს ეს ზედმეტი სახელი სამუდამოდ შერჩა და ისიც ამ სახელს ამაყად და თავმომწონედ ატარებდა.

თეიმურაზის კარებს ვეკილის წარწერა ჰქონდა. ათასში ერთხელ ვინმე გზა-დაბნეული გაბრეყდებოდა და თეიმურაზს საქმეს ჩააბარებდა. მერმე იმ საქმის პატრონი ნანობდა და თავში ხელს იცემდა: თეიმურაზი საქმეს ხალისით აიღებდა, მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვერ მიატანდა. ხან არზას დროზე არ დასწერდა, ხან განსაჩივრების ვადას გადააცილებდა, ხან ნაკისრი საქმე სულ დაავიწყდებოდა, ხან კიდევ საქმის გარჩევას ვერ დაესწრებოდა, რადგან იმ დღეს ან გადაუდებელი საგაზეთო წერილი ჰქონდა დასაწერი, ან კრებაზე იყო წასასვლელი, ან კიდევ, სასამართლოში მიმავალი, ქუჩაში ვინმეს წააწყდებოდა და ისე გაჰყვებოდა კამათსა და მუსაიფში, რომ საქმესაც დაივიწყებდა და ოჯახშიც საღამოზე ძლივს დაბრუნდებოდა.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის მთავარი სათქმელი;
- იმსჯელეთ, რა არის მიხეილ ჯავახიშვილის რომანის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება მოცემულ ტექსტებში წამოჭრილი პრობლემებისადმი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

II ვარიანტი

I. ქართული ენა

1. ოთხზე მეტი ნომრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
2; 3; 8; 9. -----4ქ.
2. თითოეული სწორად შესრულებული დავალება ფასდება 1 ქულით.
1. ხნით -----1ქ. 2. ✓-----1ქ. 3. ✓-----1ქ. 4. უნახავს -----1ქ. 5. წვაგდა -----1ქ.
6. ხანდახან -1ქ. 7. ✓-----1ქ. 8. მოჰკლებია -1ქ. 9. მთლიანად -1ქ. 10. ✓-----1ქ.
3. შენ -----1ქ.
4. აუქციონზე გამოიტანეს ორი ხელნაწერი, რომლებიც კულტურის სამინისტრომ შეიძინა. ---1ქ.
5. ბ) -----1ქ.
6. ბალახისაგან (ბალახისგან, ბალახებისაგან) -----1ქ.
7. კომპოზიტორი, რომელმაც ფილმისათვის მუსიკა დაწერა, ფესტივალზე მიიწვიეს. (ფესტივალზე მიიწვიეს კომპოზიტორი, რომელმაც ფილმისთვის მუსიკა დაწერა). -----1ქ.
8. ასოციაციის დამფუძნებლები ღვაწლმოსილი მეცნიერები არიან. -----1ქ.
9. ოთხზე მეტი ნომრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
2; 3; 4; 6. -----4ქ.
10. ოთხზე მეტი ციფრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
3; 6; 7; 8. -----4ქ.
11. თანამშრომლები ტესტირების შედეგების მიხედვით შეარჩიეს. -----1ქ.
12. ა) -----1ქ.
13. ცნებებად -----1ქ.
14. ბ) -----1ქ.
15. ბ) -----1ქ.
16. ა) -----1ქ.
17. სამზე მეტი ნომრის შემოსახვის შემთხვევაში შეფასებას აკლდება თითო ქულა.
2; 4; 7. -----3ქ.
18. 1. ბ) -----1ქ. 2. ა) -----1ქ. 3. გ) -----1ქ.

II. წაკითხვის გააზრება

1. ბ) -----1ქ. 2. ბ) -----1ქ. 3. ბ) -----1ქ. 4. გ) -----1ქ. 5. გ) -----1ქ.
6. ბ) -----1ქ. 7. ა) -----1ქ. 8. ბ) -----1ქ. 9. ა) -----1ქ. 10. ა) -----1ქ.

III. ქართული ლიტერატურა

1. პიტიახშს ეჭვიანობა ამოძრავებდა (იმის შიში, რომ შუშანიკი სხვას არ გაჰყოლოდა ცოლად).
„სათნო ეყო ღმერთსა“.
1. ეჭვიანობა -----1ქ.
2. „სათნო ეყო ღმერთსა“ -----1ქ.
2. ვერ გაეჭმდები, რადგან ქრისტიანული სიყვარულით გიყვარდი, სანამ ცოცხალი იყავი.
გაჩუმების მერიდება, რადგან გიყვარდი, სანამ ამქვეყნად იყავი -----1ქ.
3. ეს სიტყვები ნიშნავს: სულიწმიდის მიერ შთაგონებული და გრიგოლის ხელით დაწერილი (მან დაწერა სულიწმიდის შთაგონებით). „საწელიწდო იადგარი“.
1. მან დაწერა სულიწმიდის შთაგონებით -----1ქ.
2. „საწელიწდო იადგარი“ -----1ქ.
4. ეს სიტყვები ნიშნავს: რაც ღმერთმა გადაწყვიტა, უსათუოდ უნდა გადამხდეს (ღვთის მიერ გადაწყვეტილი უთუოდ გადამხდება...). ავთანდილს მეფისათვის სურს დიდება (დოვლათიანობა; ბედნიერება; სიმდიდრე, სიკეთე, კეთილდღეობა...). ჩემთვის ისიც საკმარისია, მას რომ გამოვადგები. ამ სტროფში ჩანს ავთანდილის ერთგულება (უანგარობა, რაინდული ღირსება, ღვთის რწმენა...).
1. ღვთის ნება უთუოდ უნდა აღსრულდეს -----1ქ.
2. დიდება (სიმდიდრე...) -----1ქ.
3. ისიც მეყოფა, მას თუ ვარგებ -----1ქ.
4. მეგობრისათვის თავდადება -----1ქ.

5. სიმართლის თქმის გამო, ავტორის აზრით, თავად მოქმელი შეიძლება განსაცდელში ჩაგარდეს (ხიფათს გადაეყაროს...). გასაკიცხი იმიტომ უნდა გაიკიცხოს, რომ სხვა ადამიანი გაფრთხილდეს (სხვისთვის მაგალითი რომ იყოს, სხვა რომ ფრთხილად იყოს, სხვამ არ მიბადოს...).
1. *განსაცდელი* -----1ქ
 2. *სხვამ რომ საძრახისი საქმე არ ჩაიდინოს* -----1ქ
6. მარადიული თოვლით დაფარულ მწვერვალებს აღნიშნავს სიტყვები: „სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი“.
- სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი* -----1ქ
7. პოეტი ბანოვანს საყვედურობს, რომ მას არ სწამს სიყვარულის მარადიულობისა. „რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“.
1. *არ სწამს სიყვარულის მარადიულობისა* -----1ქ
 2. *„რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“* -----1ქ
8. *„შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული“* -----1ქ
9. ამ მონაკვეთში ჩანს ოთარაანთ ქვრივის შეუპოვრობა (სამართლიანობა, სიმტკიცე...). „შვიდეულად დაუსვა“.
1. *სიმტკიცე* -----1ქ
 2. *შვიდეულად დაუსვა* -----1ქ
10. პოეზიაში ცხოვრება რეალისტურად უნდა აისახოს (ხელოვნებაში ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით უნდა აისახოს).
- ცხოვრება რეალისტურად უნდა აისახოს* -----1ქ
11. კათალიკოსის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები: „საღმრთო ნეტარებასა“ („ეძლევა ნეტარებასა“; „ცრემლით მლოცველი“).
- საღმრთო ნეტარება* -----1ქ
12. ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი ის არის, რომ სამშობლოსათვის სიკვდილი სასახელოა (სასიხარულოა; ვაჟკაცის მოვალეობაა სამშობლოსათვის თავგანწირვა...).
- სამშობლოსათვის სიკვდილი სასიხარულოა* -----1ქ
13. „ეს ვინდა მოდგა, ნისლივით“. აქ გამოხატულია ალუდას მოკრძალება (მორიდება, მოწიწება, სულიერი ტანჯვა, მწუხარება...).
1. *„ეს ვინდა მოდგა, ნისლივით“* -----1ქ
 2. *მორიდება* -----1ქ
14. დარიკო იმიტომ უწოდებს მამის ცხოვრებას გაძაღლებულს, რომ მას ცოლი მოუკვდა.
- მეუღლე გარდაეცვალა* -----1ქ
15. მეორე სტრიქონში ავტორი იყენებს შედარებას. ამ სტროფში გამოხატულია მარტოობა (უსასოობა, სიყვარულით გამოწვეული ტანჯვა...)
1. *შედარებას* -----1ქ
 2. *მარტოხელობის განცდა* -----1ქ
16. სოხუმის მოქალაქეებს აშინებდათ ბოლშევიკების სისატიკე (ის, რომ ბოლშევიკები ქალაქს დაარბევდნენ). საზოგადოების მლიქვნელობა გამოხატულია ფრაზით: „სიყვარული რა სახით გამოეფინათ“ („აღტაცება როგორ გამოეფინათ“, „უცბად აღძრული სიყვარული“).
1. *ქალაქის დარბევა* -----1ქ
 2. *სიყვარული რა სახით გამოეფინათ* -----1ქ
17. დედოფალი მეფეს ადანაშაულებდა იმაში, რომ მეფემ გული აიყარა მეუღლეზე (გულცივი იყო დედოფლის მიმართ; გული აიცრუა ცოლზე...). კათალიკოსი დედოფალს წმინდანად შერაცხვის (წმინდანად აღიარების...) ღირსად მიიჩნევს.
1. *გულის აცრუებას* -----1ქ
 2. *წმინდანად შერაცხვის ღირსად მიიჩნევს* -----1ქ
18. ავტორი შედარებას იყენებს სტრიქონში: „ისევ აყვავდა გული ვარდივით“.
- „ისევ აყვავდა გული ვარდივით“* -----1ქ

წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები

წერიტი დავალების მაქსიმალური ქულაა 20. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას. თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება. დავალების მითითება შესრულებულად არჩაითვლება, თუ მასზე ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული ანდა შინაარსი იქნება გადმოცემული.

კრიტერიუმების ჩამონათვალი

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
I	ნაშრომის შინაარსობრივი მხარე და მოცულობა	აბიტურიენტს მოეთხოვება ვრცელი მსჯელობა დავალების პირობაში მოცემული ყოველი მითითების შესახებ.	2
II	ნაშრომის ორგანიზება და ლოგიკურად აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	1
III	მსჯელობის დასაბუთება (არგუმენტირება) და ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება ტექსტური მასალით.	4
IV	ტექსტის ადეკვატურად გაგება და ფაქტობრივი სიზუსტე	აბიტურიენტს მოეთხოვება ტექსტის ადეკვატურად გაგება. ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	2
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, აგრეთვე, ზოგადი განათლება.	3
VI	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოსატყობა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად გამართული იყოს.	3
VII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	3
VIII	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	2

I ტაბულა

№	ნაშრომის შინაარსობრივი მხარისა და მოცულობის შეფასების კრიტერიუმები	ქულები
1.	ნაშრომი არ სცილდება მითითებების ფარგლებს და ვრცლად არის შესრულებული (არანაკლებ 220 სიტყვისა).	2
2.	ნაშრომი არ სცილდება მითითებების ფარგლებს და მოკლედ არის შესრულებული (200-დან 220 სიტყვამდე).	1
3.	ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს; მოცემული ტექსტის პერიფრაზია; ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს; 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისაა.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II ტაბულა

№	<i>ნაშრომის ორგანიზებისა და ლოგიკურად აგების შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომი ორგანიზებულია და მონაკვეთთა შორის დაცულია ლოგიკური კავშირები.	1
2.	ნაშრომი არ არის სათანადოდ ორგანიზებული და/ან მონაკვეთთა შორის დარღვეულია ლოგიკური კავშირი.	0

III ტაბულა

№	<i>დასაბუთების (არგუმენტირების) უნარის შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	მსჯელობა <i>სამივე</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	4
2.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
3.	მსჯელობა <i>ორი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული); ანდა მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო <i>ორ</i> მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	2
4.	მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, <i>მეორე</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდვე წინადადებითაა გადმოცემული); ანდა <i>სამივე</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
5.	<i>ორი</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო <i>მესამე</i> მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა <i>ერთი</i> მითითების შესახებ დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა <i>ერთი</i> მითითების შესახებ მსჯელობისას არგუმენტები არაა დამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV ტაბულა

№	<i>ტექსტის ადეკვატურად გაგების უნარისა და ფაქტობრივი სიზუსტის შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული და ნაშრომში არ არის დაშვებული არც ერთი ფაქტობრივი შეცდომა.	2
2.	ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული და ნაშრომში დაშვებულია ერთი ფაქტობრივი შეცდომა; ანდა არ არის დაშვებული არც ერთი ფაქტობრივი შეცდომა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	1
3.	ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული და/ან ნაშრომში დაშვებულია ერთზე მეტი ფაქტობრივი შეცდომა.	0

V ტაბულა

№	<i>დამოუკიდებელი აზროვნების უნარისა და ზოგადი განათლების შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ არ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე არ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VI ტაბულა

№	<i>ლექსიკისა და სტილის შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე ნაწილობრივ დაცულია ნაშრომის სტილისტური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდ სტილისტური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
4.	ცალკეულ შემთხვევებში ნაშრომში აზრი ბუნდოვანია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და/ან თხზულება სტილისტურად გაუმართავია.	0

VII ტაბულა

№	<i>სინტაქსური კონსტრუქციების შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	ნაშრომში დაშვებულია <i>ერთი</i> სინტაქსური შეცდომა.	3
2.	ნაშრომში დაშვებულია <i>ორი</i> სინტაქსური შეცდომა.	2
3.	ნაშრომში დაშვებულია <i>სამი</i> სინტაქსური შეცდომა.	1
4.	ნაშრომში დაშვებულია <i>სამზე მეტი</i> სინტაქსური შეცდომა.	0

VIII ტაბულა

№	<i>მორფოლოგიის, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის შეფასების კრიტერიუმები</i>	<i>ქულები</i>
1.	არ არის <i>ექვსზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის <i>ათზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია <i>ათზე მეტი</i> ამ ტიპის შეცდომა.	0

III განსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2007

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და შეავსეთ პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

მხედველობაში არ მიიღება საგამოცდო ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი (ან შემოსახული) პასუხები! ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების პირობას და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.

თუ კითხვას **არ ახლავს** აკრძალვა – ციტირება დაუშვებელია – შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით.

ზოგი დავალების შესასრულებლად საჭიროა სწორი პასუხის შემოსახვა. ასეთ შემთხვევებში გადასწორება **არ შეიძლება!**

იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი იწერება სიტყვიერად, შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

სამი წერითი დავალებიდან აირჩიეთ და შეასრულეთ მხოლოდ ერთი. შეგიძლიათ ნაშრომი ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, შემდეგ კი გადაათეთროთ პასუხების ფურცელში.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), **არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I ქართული ენა

(4) 1. შემოსახეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

1. ეფესოს მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს, რომ ნადირობის ქაღალდის პატივსაცემად ქალაქში სილამაზით გამორჩეული ტაძარი აეშენებიათ. 2. მართლაც, 120 წლის დაუდალავი შრომის შედეგად აიგო მარმარილოს საოცარი შენობა, რომელიც მნახველთა აღტაცებას იწვევდა. 3. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 356 წელს ქალაქის მკვიდრმა ჰეროსტრატემ ტაძარი გადაწვა, რათა ამით საკუთარი სახელი უკვდავეყო. 4. მოქალაქეები არ შეურიგდენ ტაძრის განადგურებას და მის აღსადგენად სახსრების მოძიება დაიწყეს. 5. ისინი თავიანთ დანაზოგს არ იშურებდნენ. 6. შემოწირულებებს აზიის სხვა ქალაქებშიც კრიბავდნენ. 7. აღდგენითი სამუშაოები დაწყებული იყო, როდესაც ქალაქს ალექსანდრე მაკედონელი მიადგა. 8. მან ეფესოს მკვიდრთ მშენებლობისათვის საჭირო თანხა შესთავაზა, ოღონდ ერთი პირობით – მისი ღვაწლი ტაძარზე საგანგებო წარწერით უნდა აღნიშნათ. 9. ეფესოს მცხოვრებლებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს და მაკედონელის დახმარების გარეშე დაასრულეს ტაძრის მშენებლობა.

(10) 2. მოცემულ ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. თხს სტრიქონში შეცდომა არ არის, ქვესში კი თითო-თითო შეცდომაა. სტრიქონის ნომრის გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ თითოეული ეს სიტყვა სწორი ფორმით; თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა ✓.

ნიმუში: 0 არქეოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ უფლისციხის ტერიტორია ძველი 0 წელთაღრიცხვის მე-VII საუკუნიდან ყოფილა დასახლებული. მოსახლეობის 1 ზრდამ და ეკონომიკის განვითარებამ მოგვიანებით ქალაქის დაარსებისათვის 2 ხელსაყრელი პირობები შექმნა. ჩვენმა წინაპრებმა უფლისციხე გამოჰკვეთეს 3 კლდეში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. სამხრეთიდან და დასავლეთიდან 4 იგი ბუნებრივად იყო დაცული, ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან უფრო 5 მეტად ჭირდებოდა გამაგრება. ამ მიზნით კლდე მთელ სიგრძეზე გაუჭრიათ, 6 განიერი თხრილი გაუკეთებიათ და მის გასწვრივ, ქალაქის მხარეს, მაღალი 7 და სქელი კედელი აღუშენებიათ. ასე გამაგრებული ქალაქი უთუოდ ძნელად 8 ასაღები იქნებოდა მომხდურთათვის. არაბობის დროს უფლისციხე ქართლის 9 ცენტრად იქცა. ურიცხვი მტერის განუწყვეტელმა შემოსევებმა, ძნელბედობამ 10 იგი თან და თან ისე დაასუსტა, რომ ქალაქმა არსებობა შეწყვიტა.

ნიმუში: 0 ----- ✓ -----
0 --- VII ---

- (1) 3. დაწერეთ ნაცვალსახელი ჩემი შესაბამისი ფორმით.
... გამო ბიჭები სტადიონზე ვეღარ წავიდნენ.
- (1) 4. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
გამოიცა ორი საყმაწვილო ჟურნალი, რომელიც ბავშვთა ფონდმა დააფინანსა.
- (1) 5. რომელი სიტყვაა გამოტოვებული? (სწორი პასუხი შემოსახეთ)
შეატყობინე სტუმრებს, ორ საათზე დარბაზში
ა) ვიკრიბებით-თქო; ბ) ვიკრიბებით-მეთქი; გ) ვიკრიბებითო.
- (1) 6. დაწერეთ არსებითი სახელი თიხა შესაბამისი თანდებუდიანი ფორმით.
სარიტუალო ფიგურებს ოსტატები . . . ძერწავდნენ.
- (1) 7. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
ტურისტმა, რომელმაც საქართველოს მთიანეთი მოიარა, შინ აღტაცებული დაბრუნდა.
- (1) 8. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
შეკრების ორგანიზატორები ახალგაზრდა მწერლებია.
- (4) 9. შემოსახეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

1. სოლომონ დოდაშვილი დაიბადა 1805 წელს სიღნაღში. 2. მან უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო. 3. მისი სადისერტაციო ნაშრომი იყო „ლოგიკა“, რამაც გამოქვეყნებისთანავე რუსული პრესისა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. 4. ეს წიგნი სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა რუსეთის მრავალ სასწავლებლებში. 5. სამშობლოში დაბრუნებული სოლომონი საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ჩაება, რადგან თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. 6. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში. 7. შეთქმულები მიზნად ისახავდნენ აჯანყების გზით ეხსნათ საქართველო კოლონიური ჩაგვრიდან. 8. შეთქმულება ჩაიშალა და მისი მონაწილეები მკაცრად დასაჯეს. 9. სოლომონ დოდაშვილი შორეულ ქალაქ ვიატკაში გადაასახლეს, სადაც მძიმედ დაავადდა და 1836 წელს გარდაიცვალა.

(4) 10. შემოხაზეთ ის ოთხი ციფრი, რომელთა ადგილას გამოტოვებულია სასვენი ნიშნები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

ბაბილონელები ციფრების აღმნიშვნელ სიმბოლოდ(1) სოლს იყენებდნენ. სწორად დასმული სოლი ერთს აღნიშნავდა(2) წაქცეული(3) ათს. ბაბილონურ ნუმერაციაში არ არსებობდა ნული(4) ამიტომ რიცხვების მნიშვნელობის გასარკვევად დამატებითი განმარტება იყო საჭირო. აღრიცხვის ბაბილონური სისტემა საკმაოდ რთული იყო და ამიტომ(5) გამოთვლებისათვის(6) გამრავლების მზამზარეული ცხრილები გამოიყენებოდა. თვლის ამ სისტემამ(7) დიდი როლი შეასრულა(8) როგორც მათემატიკის(9) ისე ასტრონომიის განვითარებაში.

(1) 11. გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი და ისე გადაწერეთ წინადადება (წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ).

ახალი წიგნებით ბიბლიოთეკის შევსება გაზაფხულზე მოახდინეს.

(1) 12. მოუხერხებელი ადამიანი არის:

ა) უბირი; ბ) უკმეხი; გ) უნიათო. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 13. რომელი სიტყვაა გამოტოვებული: უებარი თუ უებრო?

ჯანმრთელობის შენარჩუნების . . . საშუალება ფიზიკური ვარჯიშია.

(1) 14. რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

. . . დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მხატვრის პირველი გამოფენა მოეწყო.

ა) ბევრი; ბ) დიდი; გ) უამრავი. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 15. რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება – ამდგრეულ წყალში თევზი დაიჭირა?

ა) არეულობა პირადი ინტერესებისათვის გამოიყენა; ბ) არეულობის გამოწვევა სხვას გადააბრადა; გ) არეულობის გამომწვევი მიზეზი დაადგინა. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

(1) 16. შემოხაზეთ მართებული შესიტყვება:

ა) მოვალეობას გადაიხდის; ბ) საფასურს გადაიხდის; გ) საფასურს მოიხდის.

(3) 17. შემოხაზეთ იმ სამი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზები გვხვდება. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოხაზული პასუხის გამოც)

1. ამერიკელმა რობერტ ფულტონმა 1800 წელს საფრანგეთში წარმატებით გამოსცადა ორთქლის გემი. 2. მალე ასეთი გემების აგებას სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა ადგილი. 3. ამ საკითხთან მიმართებაში საქართველოშიც გამოიჩინეს დიდი ინტერესი. 4. 1858 წელს რიონში შეცურა ორთქლის გემმა, რომელიც მდინარე დნესტრიდან გადმოიტანეს. 5. „ცეცხლის გემს“ (ასე ეძახდნენ ორთქლის გემს) ადგილობრივი მცხოვრებნი აღფრთოვანებით შეხვდნენ. 6. ამიერიდან შესაძლებელი გახდა შავი ზღვიდან სამტრედიამდე საქონლის პირდაპირ გადაზიდვა. 7. მანამდე კი ფოთის ნავსადგურში ტვირთი სხვა ტრანსპორტში უნდა გადაეტვირთათ, რაც დამატებით ხარჯებს მოითხოვდა.

(3) 18. ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი. (სწორი პასუხი შემოხაზეთ)

ვენერა შეიძლება დავინახოთ როგორც საღამოს, ისე ალიონზე. შებინდებისას იგი უფრო მეტად (1) . . . , მაგრამ მცირე ხნით. პლანეტის ზედაპირზე დაკვირვება ვერ ხერხდება, რადგან მისი ატმოსფერო ყოველთვის ღრუბლებითაა მოცული. მეცნიერებმა რადიოსიხივების (2) . . . სცადეს მისი კვლევა. გაირკვა, რომ პლანეტის ზედაპირი ზოგან (3) . . . არეკლავს რადიოსიხივებს, ზოგან – სუსტად. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი ზედაპირი ერთგვაროვანი არ არის.

- | | | | |
|----|---------------|---------------|---------------|
| 1. | ა) ვარვარებს; | ბ) კაშკაშებს; | გ) ლაპლაპებს. |
| 2. | ა) მეოხებით; | ბ) მეშვეობით; | გ) შემწეობით. |
| 3. | ა) მტკიცედ; | ბ) ღონივრად; | გ) ძლიერად. |

II. წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. შეკითხვებს ყურადღებით გაეცანიოთ და მოცემული სამ-სამი პასუხიდან სწორი შემოხაზეთ (*დაუშვებელია პასუხების ფურცელში შემოხაზული ასოს წაშლა და მის ნაცვლად რომელიმე სხვა ასოს შემოხაზვა*).

1. ვერც ერთი ხალხი, ვერც ერთი ეპოქა ვერ შექმნის ჭეშმარიტად ღირებულ კულტურულ ფასეულობებს, თუკი შესატყვისი მსოფლმხედველობრივი საფუძველი არ გააჩნია. ადრეულ ეპოქებში ამგვარი მსოფლმხედველობრივი საფუძველი, როგორც წესი, რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა წიაღში მიიკვლეოდა.
2. ამ ასპექტით თუ შევხედავთ ანტიკური ეპოქის დროინდელ საქართველოს, უეჭველად უნდა დავასკვნათ, რომ არც ქართულ მითოსს, არც კერპთაყვანისმცემლობას, არც ქართველთა წინაპრების საცხოვრისიდან წამოყოლილ მნათობთა თაყვანისცემას და არც მეზობელი სპარსეთიდან თავსმოსხვეულ მაზდეანობას, ესე იგი, ქართული წარმართული კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლის პრეტენზიის მქონე არც ერთ ამ მოძღვრებას არ ძალეღვა ეტვირთა ის როლი, ქრისტიანობამ რომ შეასრულა კულტურული აღმავლობის ასპარეზზე.
3. ქრისტიანული კულტურის ორბიტაში მოქცევამ უფრო მკაფიოდ გამოავლინა ქართველი ერის ოდინდელი ტენდენცია ევროპულ კულტურასთან დაახლოებისა, რამეთუ ქართული კულტურა თავისი უღრმესი საწყისებით სწორედ ევროპული ტიპის, ხმელთაშუა ზღვის აუზის კულტურათა ტიპის ფენომენი იყო იმთავითვე და ვერასოდეს ეგუებოდა გეოგრაფიული მდებარეობის გამოსირობით მოძალბებულ ცალმხრივ აღმოსავლურ კონტაქტებს.
4. ამის დამადასტურებელია უძველესი დროიდანვე არსებული მჭიდრო ურთიერთობა ბერძნებთან, უხვად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა.
5. ევროპეიზმი ქართველთათვის უძველესი დროიდანვე მომდინარე და საუკუნეთა განმავლობაში განუშორებელი ტენდენცია იყო და, სპარსეთის მხრივ გააფთრებული წინააღმდეგობისდა მიუხედავად, ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებამ ოდენ ხაზი გაუსვა ამ ტენდენციას.
6. ამასთან ერთად, ქართული კულტურის, მწერლობის ბოლომდე გააზრება და შეცნობა აგრეთვე შეუძლებელი იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ კიდევ ერთ მომენტს: დასავლურ, ევროპულ ორიენტაციასთან ერთად ქართველობას აღმოსავლურ კულტურებთანაც არ გაუწყვეტია კავშირი.
7. და ამას პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორები კი არ განაპირობებდა მხოლოდ, არამედ სულიერი განვითარების ტენდენციებიც.
8. მაშასადამე, ქართველობას უძველესი დროიდანვე ღვიძლი კავშირი ჰქონდა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კულტურებთან.
9. აქ ხდებოდა ამ კულტურათა ორგანული სინთეზი (დასავლურ ელემენტთა უპირატესი შერწყმით), რომელიც დიდად უწყობდა ხელს საკუთრივ ქართული, უადრესად თვითმყოფადი კულტურის დადგინებას.
10. იყო პერიოდები, როდესაც, პოლიტიკურ სიტუაციათა გამო, ქართული კულტურა მოსწყდებოდა ხოლმე ხან ერთ მხარეს, ხან მეორეს, ხან დასავლეთს (XVI-XVIII საუკუნეები), ხან აღმოსავლეთს (XIX საუკუნე). უძველესი კულტურული კონტაქტების ამგვარი ნაძალადევი გათიშვა, ცხადია, სასიკეთოდ ვერ იმოქმედებდა საკუთრივ ქართული კულტურის განვითარებაზე.

რევაზ თვარაძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 2001 წ.

- (1) 1. რა არის მეორე აბზაცის ფუნქცია?
 - ა) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების გამეორება; ბ) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების განვითარება; გ) I აბზაცში გამოთქმული მოსაზრების უარყოფა.
- (1) 2. რა არის მესამე აბზაცის უმთავრესი აზრი?
 - ა) გეოგრაფიული მდებარეობის გამოსირობით ქართული კულტურა ევროპული ტიპის ფენომენი იყო; ბ) ქართული კულტურა ვერასოდეს ეგუებოდა ცალმხრივ აღმოსავლურ კონტაქტებს.

ტებს; გ) ქართული კულტურა თავისი ბუნებით უფრო დასავლურია, ვიდრე – აღმოსავლური.

- (1) 3. რომელ აბზაცშია გამოხატული აზრი, რომ ქართული კულტურა თავისი ბუნებით ოდითგანვე ევროპული იყო?
ა) II აბზაცში; ბ) V აბზაცში; გ) VIII აბზაცში.
- (1) 4. რა აკავშირებს მეშვიდე აბზაცს წინა აბზაცთან?
ა) მეშვიდე აბზაცში გამეორებულია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება;
ბ) მეშვიდე აბზაცში დასაბუთებულია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება;
გ) მეშვიდე აბზაცში შეჯამებულია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.
- (1) 5. რომელი სიტყვა აღნიშნავს მთვლენას?
ა) ასპექტი; ბ) სინთეზი; გ) ფენომენი.
- (1) 6. რა არის მეცხრე აბზაცის უმთავრესი აზრი?
ა) დასავლურ ელემენტთა არსებობა თვითმყოფადი კულტურის დადგინებას განაპირობებდა;
ბ) ქართული კულტურის ორიგინალურობას აღმოსავლური ელემენტის პრიორიტეტულობა განაპირობებდა; გ) ქართული კულტურის ორიგინალურობას განსხვავებულ კულტურათა შერწყმა განაპირობებდა.
- (1) 7. რის მეშვეობით ასაბუთებს ავტორი საკუთარ თვალსაზრისს?
ა) მეცნიერთა ნაშრომების ციტირების მეშვეობით; ბ) ორიგინალური მსჯელობის მეშვეობით; გ) სხვა მოაზროვნეებთან კამათის მეშვეობით.
- (1) 8. რის შესახებ არ მსჯელობს ავტორი ამ ტექსტში?
ა) უძველესი ქრისტიანული მითოსის შესახებ; ბ) ქართული კულტურის მსოფლმხედველობრივი საფუძვლების შესახებ; გ) ქართული კულტურის ტენდენციების შესახებ.
- (1) 9. რა არის მთელი ტექსტის ფუნქცია?
ა) ქართული კულტურის მანკიერი მხარეების ჩვენება; ბ) ქართული კულტურის სიღრმისეული ბუნების ჩვენება; გ) ქართული კულტურის უდიდესი პოტენციალის ჩვენება.
- (1) 10. რა არის მთელი ტექსტის უმთავრესი აზრი?
ა) ქართული კულტურა აღმოსავლური ტიპისაა, თუმცა მასში დასავლური ელემენტიც მოიპოვება; ბ) ქართული კულტურა დასავლური ტიპისაა, თუმცა მასში აღმოსავლური ელემენტიც მოიპოვება; გ) ქართული კულტურა დასავლური ტიპისაა და მასში აღმოსავლური ელემენტი არ მოიპოვება.

III. ქართული ლიტერატურა

- (2) 1. იაკობ ხუცესი მოგვითხრობს ვარსკენ პიტიახშისა და ვინმე სპარსის შეხვედრის შესახებ:
„და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მსურვალედ ევედრებოდა მას, რაითამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაი შუშანიკ. და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებაი მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებაი და კრძალულად დაცვაი...“
 1. ამოიწერეთ სამი სიტყვა, რომლებიც ვარსკენის განწყობილების ცვლილებას გამოხატავს.
 2. განმარტეთ, კონკრეტულად რის სათხოვნელად მივიდა სპარსი ვარსკენთან. (ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 2. იოვანე საბანისძე მოგვითხრობს:
„მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტეის მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროის გონებისა ჩემისა აღმადლდა ქებაი სათნოებათა შენთაი“.
გადმოეცით თქვენი სიტყვებით მთელი ფრაზის შინაარსი. (ციტირება დაუშვებელია!)
- (2) 3. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:
„ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსეი, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღვდელი და კეთილად განმგებელი მოღუაწეი და უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ...“
 1. განმარტეთ, რას ნიშნავს სიტყვები – „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“.

2. ამოიწერეთ ორი სიტყვა, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს უკაცრიელ ადგილებში სამონასტრო კერების დამფუძნებელს.

(4) 4. ავთანდილი მიმართავს როსტევანს:

„არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა,
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;
წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა;
არვის ძალ-უც ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

1. ამოიწერეთ სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ნაღველს.
2. რატომ არ აქვს აზრი „უსარგებლო ცრემლთა დენას“? (ციტირება დაუშვებელია!)
3. რა არის, ავთანდილის აზრით, რაინდის ვალი? (ციტირება დაუშვებელია!)
4. გადმოეცით მეოთხე სტრიქონის აზრი თქვენი სიტყვებით.

(2) 5. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:

„ტყუილი ვთქვა, ჩემი თქმული შეიქნების რა სავარგი?
მართალი ვთქვა, მეშინიან, ვა, თუ გავხდე დასაკარგი!
კაცს მის მეტი არა აქვს რა სიკვდილს უკან თან საბარგი,
სულს მიუძღვის ხორცთ ნაქნარი: ავსა – ავი, კარგსა – კარგი“.

1. დაასახელოთ, რის გამო შეიძლება დაისაჯოს ავტორი. (ციტირება დაუშვებელია!)
2. დაასახელოთ, ავტორის აზრით, რით შეფასდება საიქიოში ადამიანის ღირსება. (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 6. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:

„მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურურთა მქონე,
არა-თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.
აწ მტვრად აღგვიღან იგი ძალი და იგი ღონე;
მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლილან კვალნი!“

ამოიწერეთ სამი სიტყვა, რომლებიც დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას აღნიშნავს.

(2) 7. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „სულთ ბოროტო...“ ვკითხულობთ:

„სულთ ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?“

1. განმარტეთ, რა ტრაგიკული განცდაა ამ სტროფში გამოხატული. (ციტირება დაუშვებელია!)
2. განმარტეთ, მეოთხე სტრიქონის მიხედვით, რას უსაყვედურებს ავტორი ბოროტ სულს. (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 8. ილია ჭავჭავაძის ლექსში „ელეგია“ ვკითხულობთ:

„ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება.
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

განმარტეთ, რა იგულისხმება გადატანითი მნიშვნელობით სიტყვებში – „ქვეყნის ძილი“.

(2) 9. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ ავტორი ასე მიმართავს მკითხველს:

„მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს – რამოდენადაც შეძლება აქვს – შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო“.

1. რატომ შეიძლება იფიქროს მკითხველმა, რომ ამ მოთხრობას მისი „გაჯავრება უნდა“? (ციტირება დაუშვებელია!)
2. რა აძლევს ავტორს ოპტიმიზმის საფუძველს? (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 10. აკაკი წერეთლის ლექსში „ჩანგური“ ვკითხულობთ:

„სხვისი ლხინით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემ თავს დავრჩი ავად,
და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად!“

განმარტეთ, რა არის ამ სტროფის მთავარი სათქმელი? (ციტირება დაუშვებელია!)

(1) 11. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ თორნიკე მიმართავს მეფე დავით კურაპალატს:

„ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა,
ყოველ მიზეზის მიზეზსო,
ვფიცავარ საქართველოსა
და მერე, მეფევე, თქვენს მიზეზსო,
რომ მართალი ვარ იმაში,
რაზედაც ბრალს მდებთ თქვენაო!“

ამოიწერეთ ორი სიტყვა, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს დმერთს.

(1) 12. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხვეისბერი გონა“ ვკითხულობთ:

„ონისეს, ბუნებითვე ვაჟკაცს და თავგანწირულს, დღეს მეტი მიზეზი ჰქონდა ერთიორად გადაქცეულიყო, რადგანაც თავის შეცდომას და თავდავიწყებას ჰგრძნობდა და უნდოდა მეტის თავგანწირვით ცოდვა რაოდენადმე შეემსუბუქებინა.“

განმარტეთ, რით არის განპირობებული ამ მონაკვეთის მიხედვით ონისეს თავგანწირვა. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 13. ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ ჯოყოლა მიმართავს ქისტებს:

„– რას სჩადით? – შემოუძახა:
– ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?
ჩემს სჯულსა ვფიცავ, სისხლს დავდგრი,
განანებთ ბრიყვულს ქცევასა,
განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
ჩემის კაცობის ქელვასა!“

1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ჩანს, რომ ჯოყოლა ქისტებს ადათის დარღვევას საყვედურობს.
2. *განმარტეთ*, ჯოყოლას რა სულიერი მდგომარეობა ჩანს პოემის ამ მონაკვეთში?

(1) 14. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ნუჩია მიმართავს დათიასა და სერაპიონს:

„– ჰო, ხმელი ჭადი და ლობიო მიუტანეთ!.. იმ უცხო კაცის მაინც უნდა მოირიდოთ, თქვე დალოცვილებო!.. ასეთი თავისმოჭრა, გამოჭიანურება არ გამიგონია მე! წადი, ბატონო, – მიუბრუნდა სერაპიონს ნუჩია: – წადი, ყმაწვილო, და ერთი ქათამი, რავარცხა იქნას, მონახე და დამიჭირე...“

დათიასა და სერაპიონის რა თვისება ჩანს ამ მონაკვეთში? (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 15. ვალაკტიონ ტაბიძის ლექსში „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ ვკითხულობთ:

„დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.“

1. *დაახახელებო*, რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეოთხე სტრიქონში.
2. *განმარტეთ*, პოეტის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ამ სტროფში.

(2) 16. ლეო ქიაჩელის მოთხრობაში „ჰაკი აბბა“ კუზმა კილგა მიმართავს ჰაკის:

„– შენ კი აქამდის ჩვენს მოსისხლე მტერს მხარს უჭერდი, ჰაკი, მაშინაც კი ესმარებოდი, როცა მან ერთი მებრძოლი ამხანაგი ვერაგულად მოგვიკლა, ხოლო მეორე დაგვიჭრა... ორივე შენისთანა ხალხის, მუშებისა და გლეხების თავისუფლებისათვის იბრძოდა... ჩვენი მტერი შენი მტერიცაა, ეს უნდა იცოდე!“

1. *რატომ* ჰყავთ, კუზმას აზრით, ჰაკისა და ბოლშევიკებს საერთო მტერი?

2. განმარტეთ, რა მიზნის მიღწევა სურს კუზმას თავისი საუბრით?

(2) 17. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ფარსმანი უამბობს მეფეს: „მიწისძვრის მეორე დღეს შევუარე, ავადმყოფი მეგონა, შინ არ დამხვდა ფხოვს გაქცეული. ერთი სურათი ვნახე მის მიერ ნახატი, იაკობისა და ღმერთის რკინებაა ზედ გამოსახული. თანაც იცოდე, ღმერთს მეღქისედგის თვალები აქვს, ხოლო იაკობს – დამხატველისა“.

1. რა იყო უჩვეულო ამ ნახატში? (ციტირება დაუშვებელია!)
2. რა მიზანი ამოძრავებდა ფარსმანს, როდესაც ამ სიტყვებს ეუბნებოდა მეფეს?

(1) 18. გიორგი ლეონიძის ლექსში „ღამე ივერიისა“ გკითხულობთ:

„სთვლემენ ბედლებში ლურჯი ყანები.
 ეღვარებს ხვაივი, თითქოს ლამპარი.
 ჩაღაგდნენ ყველა ჩინგისხანები...
 სთქვი, მეწისქვილეგ, ერთი ზღაპარი“.

ამოიწერეთ სტრიქონი, რომელშიც ავტორი შედარებას იყენებს.

IV. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს, გაიაზრეთ ისინი, აირჩიეთ და შეასრულეთ მათგან მხოლოდ ერთი. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ შეფასდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

თითოეულ წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების შექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი ნაწარმოების შინაარსის თხრობა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). თხზულებისათვის გამოყოფილი ფურცლის დასაწყისში მოცემულია წერითი დავალებების ნომრები (№1, №2 და №3); შემოსახუთ ის ციფრი, რომელიც თქვენ მიერ არჩეული დავალების ნომერს შეესაბამება (შეცდომა გადახაზეთ, ნუ დაჯღაბნით).

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

დავალება № 1

გულანშაროში მოხვედრილმა ნესტანმა უთხრა ფატმანს:

„ბედი უბედო ჩემზედა მიწივი ავისა მქმნელია.
 კარგი რა მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!
 სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია“.

მელიქსურხავის სასახლეში დატყვევებული ნესტანი ფიქრობდა:

„სადაური სად მოსრულვარ, ვის მივჰხვდები ვისთვის ხელი!
 რა ვქმნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი!“
 კვლაცა იტყვის: „ნუ დავაჭნობ შეენებასა ვარდთა ფერსა!“

ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!
 სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
 რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!“
 ხადუმნი იხმნა, უბრძანა: „ისმინეთ, მოდით ცნობასა!
 მოღორებულხართ, დამცთარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა,
 დამცთარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ ჰლამის სძლობასა,
 ჩემთვის ბუკსა და ტაბლაკსა ცუდად, გლახ, იცემს, ნობასა...
 უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,
 თქვენ დაგხოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა;
 ესე სჯობს: მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა,
 მე გამაპარეთ, გამიშვით, თვარა დაიწყებთ ნანასა!..“
 მონათა მიჰხვდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძვირისა,
 დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
 გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა.
 ნახეთ, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“

ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეულმა ნესტანმა მისწერა ფატმანს:

„გეაჯები, საყვარელსა შემახვეწე, შემაბრალე,
 ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შე-ცა-სთვალე!
 მე რომ მჭირს, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა:
 მას მკვდარსა ვნახავ, მოკვდეები მე სიკვდილითა ორითა.
 ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ჭორითა,
 არ დაგმორჩილდეს, დამქოლე შავისა ქვისა ყორითა!“

ტარიელს კი შეუთვალა:

„ციხეს ვზი ეხომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
 გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
 დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
 მათთა შემბმელთა დაჰხოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.
 ნუ, თუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა!
 ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
 შენ მკვდარსა ვნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
 მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!
 შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
 ჩემი სთქვა: „სხვათა მიჰხვდების იგი ალვისა ტანითა!“
 არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
 ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა“.

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ნესტანის ხასიათის შესახებ პირველი და მეორე მონაკვეთების მიხედვით;
- იმსჯელეთ, ნესტანის ხასიათის რა თავისებურებები ჩანს მესამე და მეოთხე მონაკვეთებში;
- შეაჯამეთ მსჯელობა და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ამ პერსონაჟის მიმართ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

კონსტანტინე გამსახურდია რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ მოგვითხრობს:

მეფე გიორგი უჩვეულოდ დელავდა, სამჯერ გადაადებინა საქმე, ბოლოს მარტის 27-ს უნდა წარსდგომოდა სასამართლოს ფარსმანი...

მსახურთუხუცესი წარგზავნა, მელქისედეკ კათალიკოსი აწვევინა. სამგზის ეახლა იგი მელქისედეკს, სამგზისვე ლოგინად ჩავარდნილი დაუხვდა მელქისედეკი მოციქულს...

ბოლოს თავად დააპირა კათალიკოსთან წასვლა, მაგრამ ერთი ცენახოთ, სადარბაზოდ მოსული მეფე გაეწბილებინა მელქისედეკს?

ეს დიდად საჩინოდ გახდიდა მათ შორის უჩინარად წარმოებულ ბრძოლას.

რაკი კათალიკოსთან სათათბიროდ წარგზავნილისათვის ფრიად დიდი და იდუმალი საქმენი უნდა გაემხილათ, ზვიად სპასალარმა თავად შესთავაზა გიორგის: მე ვეახლებიო კათალიკოსს.

დიდხანს იჩურჩულეს, ბოლოს დააბარა: არავინ დაესწრო ამ საუბრის დროს...

თათბირი მოთავებული ჰქონდათ, მეფემ თრიაქი გადმოიღო, ნარგილე გააჩაღა და სწორედ ამ დროს მალემსრბოლი ჩამოვიდა ბიზანტიონიდან.

გახსნეს გრაგნილი და ასეთი ამბავი ამოიკითხეს:

ტაოდან იერუსალიმს სალოცავად მიმავალი ბერი ზაქარია შეეპყრო ანტიოქიის დომესტიკს, ბასილისთვის გადაეგზავნა, კეისარს დილეგში ჩაეგდო იგი.

შესწამეს თურმე ზაქარიას, მას მიეტანოს თითქოს კომნინისათვის გიორგი მეფის მიერ გაგზავნილი წითელი წაღები, და მისივე სახელით კეისრობა მიელოცნოს განდგომილისათვის.

დიდხანს ეწამებოდათ ბერი ზაქარია, მისგან ამას მოითხოვდნენ, დაედასტურებინა ოღონდ: მართლაც გაეგზავნოს თითქოს წითელი წაღები კომნინისათვის გიორგი მეფეს. მყისვე განთავისუფლებას ჰპირდებოდნენ ბერს, კესარეის საეპისკოპოსო ტახტს აღუთქვამდნენ თურმე.

ზაქარიას მტკიცე უარი განეცხადებინა.

რაკი აღთქმებით ვერა გააწყვეს რა, დილეგში ჩააგდეს კვლავ, ვირთხები მიუსიეს.

როცა დაკითხვებით თავი მოაბეზრეს, სიმუნჯე მოიგონა.

ენა მოსჭრეს თურმე.

რაკი დამუნჯდი, ენა რაღად გინდაო, დასცინოდნენ ღრმად მოხუცებულს.

გიორგი გააცოფა ამ ამბავმა.

წამოვარდა, მუშტებს უშენდა ტაბლას.

„ბასილი კეისარს ეს უნდა: ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძალთაპირი ბასილი კეისარი...“

ყვიროდა მეფე.

ასეთი სიტყვები არასოდეს სმენოდა მისგან სპასალარს.

„ნუთუ ამას ვერ ჰხედავს დაბრმავებული მეღქისედეკი? აღარც მარიამ დედოფალს ესმის ეს საფრთხე...“

მეფემ... ამღვრეული თვალები ჯიქურად მიანათა სპასალარს და ეუბნება:

„შენ გეტყვი, ზვიად, თუ მეღქისედეკმა შორენას გამო რაიმე გითხრა, რას მიუგებ მაშინ?“

ზვიადი აიმღვრა.

„მხოლოდ იმას, რასაც მეფე მიბრძანებს, პატრონი ჩემი“.

გიორგიმ თავი ჩაჰქინდრა და გაუმეორა:

„მხოლოდ იმას, რასაც მეფე გიბრძანებს... ჰმ...“

„რაღა ბრძანებ ამას, მეფეთ მეფეო?“

„არა, ისე ვთქვი...“

მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო:

„დედოფალი წამეკიდა წუხელ, სჩანს, ეზოსმოძღვარს უჭორავნია... მარიამ ყოველივეს ამცნობდა კათალიკოსს, ალბათ, თუ მეღქისედეკმა შორენას წარგზავნა მოითხოვა, აფხაზეთს წარგზავნა და ბეღიაში მონაზვნად აღკვეცა, არამც და არამც არ მისცე ჩემის სახელით დასტური. ხოლო...“

აქ ისევ დადუმდა, მცირე ხნის შემდეგ კვლავ განაგრძო: „ხოლო თუ კათალიკოსი გაჯიქდეს, უთხარი ჩემის სახელით, გირშელს მიათხოვებენ-თქო შორენას, ყველისციხის პატრონს, დედიჩემის დისწულს. ეცადე აქამდის არ მიიყვანო საქმე, თუ სხვა ღონე არ იქნეს, დაეთანხმე, გურანდუხტმა მზითევი გადმოუგზავნა-თქო უკვე, მეფემ დასტური მისცა-თქო. გირშელს მიათხოვებენ-თქო, ყველისციხის პატრონს. ასე უთხარი და ვნახოთ მერმე...“

ხელახლა თავყანი სცა ზვიადმა მეფეს, მან კვლავ ჩაიღო ნარგილეს მილი პირში, გააბოლა. მცირე ხანს რეტდასხმული იჯდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ მიადახა მიმავალს:

„წითელი წაღების ამბავი გამოიყენე შენებურად, ზვიად...“

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, გიორგი მეფის რა თვისებები ჩანს მოცემულ მონაკვეთში;
 - იმსჯელეთ მეფისა და კათალიკოსის დაძაბული ურთიერთობის შესახებ;
 - დაახასიათეთ საქართველოს ისტორიული ვითარება მოცემული მონაკვეთის მიხედვით.
- თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!*

დავალება № 3

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „ორნი ძმანი“:

ორნი ძმანი იყვნენ. უხუცესს ცოლ-შვილი ჰყვა და მრწემი უცოლო იყო. გაიყარნენ ძმობისაგან და ერთად ვეღარ დადგნენ. ყოველივე განიყვეს, რაც ჰქონდათ. რა პური გაიყვეს, ერთის ორმო კალოს აქათ იყო და მეორისა – იქით.

უხუცესი მოიპარევედის თავის ორმოდამა პურსა და ძმისაში ჩაყრიდის და იტყოდის:

– მე ღმერთმან ცოლი და შვილი მიბოძა, მომგებელნი მყვანან. მას ძმას არარა ჰყავს. ესე მისი იყოს და მან ჭამოს.

და იგი უმრწემესი ძმა მოიპარევედის თავისის ორმოდან და უხუცესისაში ჩაჰყრიდის:

– მე მარტო ვარ და ჩემი სარჩო, სადაც მივალ, ადვილ არს; იგი ძმა წერილშვილ არს და მას უფროსი უნდება და მისი იყოს.

ეგრე დაჰყვეს ყოველნი დღენი და ღმერთმან ორთავ განუმრავლა ყოველი და არა მოაკლდა საზრდო მათ.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“ გეითხულობთ:

ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყავდა... როცა ყველაფერი მოამზადეს, მერე მიიპატიუეს საქმროცა. როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:

– დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა, საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

– პატარძალი სად არის?

– აი, ესა ბძანდება.

– ლუარსაბ! – დაუძახა ძმას დავითმა, – მოგვატყუეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწერო...

– კნიაზო დავით! ეს რა ამბავია? – უთხრა გაჯავრებულსავით მოსემ, – ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახის-შვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!

– აი, ბატონო, ქალი მანდ არის და, ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, – მიუგო თავგამოდებით დავითმა...

– დავით! – უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოურბილა, – აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

– ეს ხუთი თუმანი, დაჩემდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ?

დავითი დარბილდა.

– ხუთ თუმანზედ ძმა როგორ გაეყიდო? – უპასუხა.

– შვიდი იყოს.

– ან შვიდად.

– რვა იყოს!

– ვერც რვა თუმნად.

– მაშ რამდენი გინდა?

– ათი მაინც იყოს.

– ცხრაზე რას იტყვი?

– არა, ათი.

– ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს.

ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავითმა ჯიბეში ჩაიღო.

– მე კი დაწმინდები და ჩემის ძმისა შენ იცი, – უთხრა ღიმილით დავითმა...

დაჰკრეს ხელი ხელს და საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის მთავარი სათქმელი;
- იმსჯელეთ, რა არის ილია ჭავჭავაძის მოთხრობის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი;
- იმსჯელეთ, რა არის საერთო სულხან-საბასა და ილიას პოზიციებს შორის, ანუ რა ზნეობრივი პრინციპი აერთიანებს მოცემულ ტექსტებს.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

IV

განსი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

2007

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და შეავსეთ პასუხების ფურცელი.

**გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!**

მხედველობაში არ მიიღება საგამოცდო ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი (ან შემოსახული) პასუხები! ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების პირობას და ისე შეავსეთ პასუხების ფურცელი. წერეთ გარკვევით, იმყოფინეთ პასუხისათვის განკუთვნილი ადგილი.

თუ კითხვას **არ ახლავს** აკრძალვა – ციტირება დაუშვებელია – შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით.

ზოგი დავალების შესასრულებლად საჭიროა სწორი პასუხის შემოსახვა. ასეთ შემთხვევებში გადასწორება **არ შეიძლება!**

იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი იწერება სიტყვიერად, შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სწორი პასუხი.

სამი წერითი დავალებიდან აირჩიეთ და შეასრულეთ მხოლოდ ერთი. შეგიძლიათ ნაშრომი ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, შემდეგ კი გადაათეთროთ პასუხების ფურცელში.

არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი. ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი და/ან გვარი, ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგალითად, მეტსახელი), **არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I ქართული ენა

(4) 1. შემოსახეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

1. კუნძულ როდოსის მცხოვრებლებმა მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად გადაწყვიტეს აღემართათ თავიანთი მფარველი ღმერთის უზარმაზარი ქანდაკება – კოლოსი. 2. თავდაპირველად გამოიძერწა თიხის ქანდაკება, რომელიც გარედან ჯერ ცვილით, შემდეგ კი ისევ თიხით იფარებოდა. 3. ცვილის საშუალებით თიხის ორ ფენას ერთმანეთისაგან ანცალკეებდნენ და მათ შორის ბრინჯაოს ასხამდნენ. 4. როდესაც ლითონი ცივდებოდა, თიხის გარსს ამტვრევდნენ, ფიგურას ფხიკავდნენ და აპრიალებდნენ. 5. სამუშაოები 12 წელიწადს გაგრძელდა და მისი დასრულების ამბავი მთელ ბერძნულ სამყაროს მოედო. 6. 56 წლის შემდეგ ქანდაკება დამანგრეველმა მიწისძვრამ შეიწირა. 7. როდოსელებს რამდენჯერმე უცდიათ ფეხზე დაეყენებიათ დამსობილი გოლიათი, მაგრამ მათი ყველა ცდა მარცხით დამთავრებულა. 8. მეცნიერები დიდხანს იკვლევდნენ, თუ როგორ გამოიყურებოდა როდოსის კოლოსი. 9. ქანდაკების შექმნისა და აღმართვის რთული ტექნიკის გამო იგი მსოფლიოს საოცრებად ითვლებოდა.

(10) 2. მოცემულ ტექსტში დაშვებულია მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომები. თხს სტრიქონში შეცდომა არ არის, ექვსში კი თითო-თითო შეცდომაა. სტრიქონის ნომრის გასწვრივ მოცემულ ხაზებზე დაწერეთ თითოეული ეს სიტყვა სწორი ფორმით; თუ შეცდომა არ არის, გააკეთეთ აღნიშვნა ✓.

- ნიმუში: 0 სამშვილდე იბერიის უძველეს ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნებოდა და ჩვენს 0 წელთაღრიცხვამდე მე-IV საუკუნეში უკვე განთქმული ქალაქი იყო. იგი
- 1 რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში ისტორიული ქვემო ქართლის საიმედო
 - 2 სიმაგრეს წარმოადგენდა. ჩვენს წინაპრებს სამშვილდე ორ მდინარეს შორის
 - 3 მოქცეულ კონცხზე გაუშენებიათ. პლატო სამი მხრიდან ციცაბო და ძნელად
 - 4 მისადგომი იყო, მეოთხედან მას გამაგრება სჭირდებოდა. ამ მიზანით პლატო
 - 5 მთელ სიგრძეზე ხუთი მეტრი სისქის კედლით ჩაუკეტიათ. ხშირად ქალაქის
 - 6 ბედი ამ კედელთან სწყდებოდა ხოლმე, რადგან მტრების პირველი დარტყმა
 - 7 სწორედ მასზე მოდიოდა. დრო და დრო იგი მომხდურთა ხელში გადადიოდა,
 - 8 მაგრამ კედელს ამის კვალიც კი არ დატყობია. ჩანს, სამშვილდეში შეღწევა
 - 9 შემოვლითი გზით ხერხდებოდა. მტრის შემოსევების გამო ქალაქი სულ უფრო
 - 10 სუსტდებოდა, თუმცა ქართლის მნიშვნელოვან სიმაგრეთ მაინც რჩებოდა.

ნიმუში: 0 ---- IV ----
0 ---- ✓ -----

- (1) 3. დაწერეთ ნაცვალსახელი ჩვენი შესაბამისი ფორმით.
ამ საკითხით . . . გარდა არავინ დაინტერესებულა.
- (1) 4. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
ფონდმა შეიძინა ორი ფერწერული ტილო, რომელიც მუზეუმს საჩუქრად გადასცა.
- (1) 5. რომელი სიტყვაა გამოტოვებული? (სწორი პასუხი შემოსახეთ)
გააფრთხილე ყველა, ხვალისნდელი შეხვედრა
ა) გადაიდო-თქო; ბ) გადაიდო-მეთქი; გ) გადაიდო.
- (1) 6. დაწერეთ არსებითი სახელი თქრლ შესაბამისი თანდებულისანი ფორმით.
. . . დამზადებული ყელსაბამი მარგალიტებით შეამკეს.
- (1) 7. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
პიანისტმა, რომელმაც გასტროლები დაასრულა, სამშობლოში დაბრუნდა.
- (1) 8. გაასწორეთ სინტაქსური შეცდომა და ისე გადაწერეთ წინადადება.
ჩვენი კონსულტანტები საუკეთესო სპეციალისტებია.
- (4) 9. შემოსახეთ იმ ოთხი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც დაშვებულია სინტაქსური შეცდომები. (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

1. ექვთიმე თაყაიშვილმა უმაღლესი განათლება პეტერბურგში მიიღო. 2. 1887 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა და თბილისის გიმნაზიაში პედაგოგად დაიწყო მუშაობა. 3. თაყაიშვილი აქტიურად მონაწილეობდა მრავალ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. 4. მან დააარსა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რასაც თოთხმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. 5. ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა გაჩანაგებიდან ესხნა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა. 6. 1921 წელს საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და თან წავიდა სამუზეუმო ძვირფასეულობა. 7. ეროვნული საგანძურის მეთვალყურეობა ექვთიმე თაყაიშვილს დაევალა. 8. მიუხედავად პრობლემებისა, ექვთიმემ ყველაფერი გააკეთა, რადგან ღირსეულად შეესრულებინა ეს უმნიშვნელოვანესი მისია. 9. ორი ათეული წლის შემდეგ მან განდი უკლებლივ ჩამოიტანა სამშობლოში.

(4) 10. **შემოსახუთ ის ოთხი ციფრი, რომელთა ადგილას გამოტოვებულია სასვენი ნიშნები.** (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

დღეს მთელი მსოფლიო იყენებს ნუმერაციას(1) რომელიც ინდოელებმა შექმნეს არა უგვიანეს VI საუკუნისა(2) ჩვენი წელთაღრიცხვით. მათვე შემოიღეს ნულის აღმნიშვნელი სიმბოლოც. ინდური ნუმერაცია სხვა ქვეყნებში(3) მოგვიანებით(4) გავრცელდა. ზოგმა ხალხმა ინდოელებისაგან თავდაპირველად(5) მხოლოდ რიცხვების აღნიშვნის პრინციპი გადაიღო(6) ზოგმა კი(7) ციფრთა დაწერილობაც. X–XIII საუკუნეებში(8) ნუმერაციის ეს სისტემა ევროპაში არაბებმა შეიტანეს(9) რის გამოც მას „არაბულს“ უწოდებენ.

(1) 11. **გაასწორეთ სტილისტური ხარვეზი და ისე გადაწერეთ წინადადება** (წინადადების შინაარსი არ შეცვალოთ).

საბაქოს თანამშრომლებმა ტვირთის შემოწმება დროულად მოახდინეს.

(1) 12. **ზედმეტად ცხიმოანი საკვები არის:**

ა) მსუნაგი; ბ) მსუყე; გ) მწირი. *(სწორი პასუხი შემოსახუთ)*

(1) 13. **რომელი სიტყვაა გამოტოვებული: აღთქმა თუ აღქმა?**

ბავშვის მიერ სამყაროს . . . ადრეული ასაკიდან იწყება.

(1) 14. **რომელი სიტყვაა გამოტოვებული?**

. . . ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მწერლის პირველი კრებული გამოსცეს.

ა) ბევრი; ბ) დიდი; გ) უამრავი. *(სწორი პასუხი შემოსახუთ)*

(1) 15. **რას ნიშნავს სიტყვათა მყარი შეხამება – ფეხის ხმას აყვავა?**

ა) სხვას ანგარიშშიუცემლად მიბაძა; ბ) სხვისი გამოცდილება გაიზიარა; გ) სხვის რჩევას ანგარიში გაუწია. *(სწორი პასუხი შემოსახუთ)*

(1) 16. **შემოსახუთ მართებული შესიტყვება:**

ა) მოვალეობას მოიხდის; ბ) მოვალეობას გადაიხდის; გ) საფასურს მოიხდის.

(3) 17. **შემოსახუთ იმ სამი წინადადების რიგითი ნომრები, რომლებშიც სტილისტური ხარვეზები გვხვდება.** (გაითვალისწინეთ, ქულა დაგაკლდებათ ყოველი ზედმეტად შემოსახული პასუხის გამოც)

1. პირველი საფრენი აპარატის გამოცდას ადგილი ჰქონდა ამერიკაში 1903 წელს. 2. თვითმფრინავი 59 წუთის შემდეგ მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე. 3. საქართველოში მსგავსი აპარატი შალვა ერისთავმა ააგო 1835 წელს, მაგრამ გაფრენა ვერ მოახერხა. 4. ფართო საზოგადოება ფრენოსნობის პრობლემებით მოგვიანებით დაინტერესდა. 5. გასული საუკუნის დასაწყისში ამ საკითხთან მიმართებაში თბილისის გაზეთებში არაერთი სტატია დაიბეჭდა. 6. 1911 წელს „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნდა ანტონ კლდიაშვილის ცნობა, რომელიც საზოგადოებას საფრენი აპარატის მოდელის შექმნის შესახებ აცნობებდა. 7. გამომგონებელი სთხოვდა მკითხველებს, მხარში ამოსდგომოდნენ მას, რათა ერთობლივი ძალებით აეგოთ თვითმფრინავი.

(3) 18.

ტექსტში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი. <i>(სწორი პასუხი შემოსახუთ)</i>
--

ციური სხეულებიდან მზესთან ყველაზე ახლოს მერკური მდებარეობს, ამიტომ იგი თავის მოკლე ორბიტაზე (1) . . . მოძრაობს. მერკური საკუთარი ღერძის გარშემო ისე ბრუნავს, რომ მზისაკენ ყოველთვის მისი ერთი და იგივე ნახევარია მიქცეული. მზე ამ პლანეტას დედამიწას-

თან შედარებით შვიდჯერ უფრო (2) . . . ანათებს. მიუხედავად იმისა, რომ მერკური ბნელი სფეროა, იგი ცაზე მზის არეკლილი სხივებით (3)

- | | | | |
|----|---------------|---------------|---------------|
| 1. | ა) მარდად; | ბ) სწრაფად; | გ) სხარტად. |
| 2. | ა) ბევრად; | ბ) მეტად; | გ) ძალიან. |
| 3. | ა) გიზგიზებს; | ბ) ვარვარებს; | გ) კაშკაშებს. |

II. წაკითხულის გააზრება

წაკითხეთ ტექსტი ბოლომდე. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყოთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. შეკითხვებს ყურადღებით გაეცანიოთ და მოცემული სამ-სამი პასუხიდან სწორი შემოხაზეთ (*დაუშვებელია პასუხების ფურცელში შემოხაზული ასოს წაშლა და მის ნაცვლად რომელიმე სხვა ასოს შემოხაზვა*).

- ლიტერატურაც, ხელოვნებაც ადამიანის სულიერი მოღვაწეობის ისეთი დარგებია, სადაც ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ მოხიბვლისა და სიყვარულის გარეშე.
- ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ, ამა თუ იმ მეცნიერების ურყევმა დებულებებმა მე, შესაძლოა, მაიძულონ ვირწმუნო ჩემი შინაგანი ბუნებისთვის მიუღებელი რეალობანი, მაიძულონ, რომ დავემორჩილო მათ. მაგრამ ვერაფერმა ვერ უნდა მაიძულოს ვიკითხო ლიტერატურული თხზულება, ვუმზირო ნახატს ან ქანდაკებას, ვუსმინო მუსიკას, თუკი არ მხიბლავს, არ მიყვარს ნაგულისხმევი ნაწარმოები.
- შეიძლება კაცს მიუსაჯო უეჭველად ისწავლოს ფიზიკის ან ქიმიის ესა თუ ის კანონი, მაგრამ არ შეიძლება მიუსაჯო ლიტერატურის, ხელოვნების ქმნილებით მოხიბვლა. ეს უმარტივესი ჭეშმარიტება ერთობ ხშირად არის უგულვებელყოფილი.
- აგრე იმიტომ ხდება, რომ ამ საქმის სპეციალისტები, თავისთავად პატივსაცემი მეცნიერები – ფილოლოგები, ლიტერატურისმცოდნენი, ლიტერატურის ისტორიკოსები – არცთუ იშვიათად ივიწყებენ, რომ საქმე თავისუფლების სფეროსთან აქვთ და ცდილობენ ლიტერატურისმცოდნეობა თუ ლიტერატურის ისტორია მაქსიმალურად დაუახლოონ ზუსტ მეცნიერებათა წიაღში შექმნილ მოდელებს.
- ასეთ დროს თითქმის არასოდეს გათვალისწინებული არ არის მკითხველთა სავარაუდო გემოვნება, მათი ესთეტიკური მიდრეკილებები. შედეგი სახარბიელო ვერ იქნება.
- მე ვემხრობი იმ აზრს, რომ მწერლობაც, ხელოვნებაც არის თავისუფალი სულის თავისუფალი წარმონაქმნი, სამყაროში მოვლენილი ახალი რეალობა, რომელიც არსად იარსებებდა, სული რომ არ ქმნიდეს მას.
- ამიტომ ეს არ არის სინამდვილის მიბაძვა ან სინამდვილის ასახვა, არამედ ორი სინამდვილის – ემპირიული, წარმავალი სინამდვილისა და მეტაფიზიკური, წარუვალი, მარადიული სინამდვილის – წვდომის შედეგად ახალი რეალობის შექმნა.
- ხელოვანი, რომლის მხერა უმთავრესად ემპირიულის, წარმავალის, ამქვეყნიურისკენ არის მიმართული, წარუვალი ღირებულების მქონე ნაწარმოებებს ვერ შექმნის. მეორე მხრივ, ხელოვანი, რომლის მხერა მარტოოდენ მეტაფიზიკურისკენ, ზესთასოფლურისკენ არის მიმართული, ბოლოს და ბოლოს, სქემატურობის დამდით აღიბეჭდება.
- ჭეშმარიტი ხელოვნება არის წარმავალისა და წარუვალის, წამიერისა და მარადიულის, ემპირიულისა და ღვთაებრივის მშვენიერი შერწყმა, რაც ამაღლებს როგორც შემოქმედის, ისე აღმქმედის სულს.
- ამდენად, ხელოვნება თავის უმთავრეს მიზნად აზროვნების ტექნიკის განვითარებას არ ისახავს. აქედან გამომდინარე, ხელოვნების ნაწარმოების შექმნა ღრმად სუბიექტური პროცესია და მისი აღქმაც ღრმად სუბიექტური პროცესია.

რევაზ თვარაძე, *ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 2001 წ.*

- (1) 1. რა არის მესამე აბზაცის ფუნქცია?
- ა) წინა აბზაცებში გამოთქმული მოსაზრებების გამეორება; ბ) წინა აბზაცებში გამოთქმული მოსაზრებების გამყარება; გ) წინა აბზაცებში გამოთქმული მოსაზრებების უარყოფა.
- (1) 2. რა არის მეოთხე აბზაცის უმთავრესი აზრი?
- ა) ლიტერატურისა და ხელოვნების აღქმა სასურველია მეცნიერული მოდელებით;
- ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების აღქმა შესაძლებელია მეცნიერული მოდელებით;
- გ) ლიტერატურისა და ხელოვნების აღქმა შეუძლებელია მეცნიერული მოდელებით.

- (1) 3. რომელ აბზაცშია გამოსატული აზრი, რომ შეუძლებელია გაიძულონ ლიტერატურითა და ხელოვნებით ტკობა?
 ა) I აბზაცში; ბ) III აბზაცში; გ) VI აბზაცში.
- (1) 4. რა არის მეშვიდე აბზაცის უმთავრესი აზრი?
 ა) ლიტერატურა და ხელოვნება არსებული რეალობის ასახვაა;
 ბ) ლიტერატურა და ხელოვნება ახალი რეალობის შექმნაა;
 გ) ლიტერატურა და ხელოვნება მეტაფიზიკური რეალობის უარყოფაა.
- (1) 5. რომელი სიტყვა აღნიშნავს მეტაფიზიკურ რეალობას?
 ა) ემპირიული; ბ) ესთეტიკური; გ) ზესთასოფლური.
- (1) 6. რა აკავშირებს მეცხრე აბზაცს წინა სამ აბზაცთან?
 ა) მეცხრე აბზაცში მეორდება წინა სამ აბზაცში გადმოცემული მსჯელობა;
 ბ) მეცხრე აბზაცში უარყოფილია წინა სამ აბზაცში გადმოცემული მსჯელობა;
 გ) მეცხრე აბზაცში შეჯამებულია წინა სამ აბზაცში გადმოცემული მსჯელობა.
- (1) 7. რის მეშვეობით ასაბუთებს ავტორი საკუთარ თვალსაზრისს?
 ა) კონკრეტულ მეცნიერთან კამათის მეშვეობით; ბ) ორიგინალური მსჯელობის მეშვეობით;
 გ) მეცნიერთა ნაშრომების ციტირების მეშვეობით.
- (1) 8. რის შესახებ არ მსჯელობს ავტორი ამ ტექსტში?
 ა) თავისუფალი სულის უკვდავების შესახებ; ბ) მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართების შესახებ; გ) წამიერისა და მარადიულის შერწყმის შესახებ.
- (1) 9. რა არის მთელი ტექსტის ფუნქცია?
 ა) ლიტერატურისა და ხელოვნების არსის განსაზღვრა; ბ) მეცნიერებისა და ლოგიკური აზროვნების არსის განსაზღვრა; გ) სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის არსის განსაზღვრა.
- (1) 10. რა არის მთელი ტექსტის უმთავრესი აზრი?
 ა) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების კვლევა მეცნიერული მოდელებითაა შესაძლებელი; ბ) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნაცა და აღქმაც ობიექტური პროცესია; გ) ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნაცა და აღქმაც სუბიექტური პროცესია.

III. ქართული ლიტერატურა

- (2) 1. იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:
 „...[შუშანიკთან] მოიწია თავი იგი ეპისკოპოსთაი სამოელ და იოვანე ეპისკოპოსი, რომელნი-იგი მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარჰგზავნიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტეისისა“.
 1. სამოელისა და იოვანეს რა დვაწლს აღნიშნავს ავტორი? (ციტირება დაუშვებელია!)
 2. განმარტეთ, რას აღნიშნავს სიტყვები: „ნავთსადგურისა... ქრისტეისისა“.
- (1) 2. იოვანე საბანისძე მოგვითხრობს:
 „აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტეისგან, ნათესავსა საწუთროისა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა“.
 გადმოეცით თქვენი სიტყვებით მთელი ფრაზის შინაარსი. (ციტირება დაუშვებელია!)
- (2) 3. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:
 „მხნდებოდეს რაი ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროის მათსა, რამეთუ მარტვილნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესე [ბერები] ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათვის ქრისტეისისა“.
 1. ამოიწერეთ სიტყვა, რომელიც აღნიშნავს განმტკიცებას.
 2. განმარტეთ, რით განსხვავდება ბერ-მონაზონთა შრომა წმიდა მოწამეთა დვაწლისაგან. (ციტირება დაუშვებელია!)

(4) **4. ავთანდილი მიმართავს ვეზირს:**

„ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტყვასა საკეხელსა:
მიმელის და ვერ მისრულვარ, ესე მიღებს ცეცხლსა ცხელსა;
ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა,
რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა ფიცთა გამტეხელსა!“

1. *განმარტეთ*, რა აწუხებს ავთანდილს? (ციტირება დაუშვებელია!)
2. *ამოიწერეთ* სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ფიცს.
3. *განმარტეთ*, რას ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით სიტყვები: „ვერ გავსწირავ ხელი ხელსა“.
4. *გადმოეცით* მეოთხე სტრიქონის აზრი. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) **5. წიგნში „დავითიანი“ ვკითხულობთ:**

„ამ ამბის თქმა გარჩევითა გულმან ამად არ მინება,
ბევრი ავი გამონდების ჩვენი, მაზე მერცხვინება,
მტერს შაესმის, იამების, მოყვარეს კი ეწყინება.
რასაც ახლა ვამბობ, ვგონებ, ამაზედაც მხედვს გინება“.

1. *ამოიწერეთ* ორი სიტყვა, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს დაწვრილებით თხრობას.
2. *დაასახელეთ* ის, ვინც შეიძლება გაახაროს ავტორის მონათხრობმა.

(1) **6. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:**

„რავდენგზის მოვარეს, თავ-მომწონეს, მათთან შთახედვით,
უგრძენია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოდრუბლვილა!
მაგრამ რა?! დროსა მსრველის ცელით, ყოველთა წარწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!“

რამ გამოიწვია, პოეტის აზრით, გოგჩის ტბის პირას აყვავებული ცხოვრების განადგურება? (ციტირება დაუშვებელია!)

(2) **7. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო...“ ვკითხულობთ:**

„მხოლოდ კავშირი ესრეთთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუსხნელად დამტკიცებულსა!
მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!“

1. *რა* წარმოშობს, პოეტის აზრით, ჭეშმარიტ სიყვარულს? (ციტირება დაუშვებელია!)
2. *რასთანაა* შედარებული ჭეშმარიტი სიყვარული? (ციტირება დაუშვებელია!)

(1) **8. ილია ჭავჭავაძის ლექსში „ბაზალეთის ტბა“ ვკითხულობთ:**

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღედაღამ პნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?“

განმარტეთ, რა განწყობილებაა გამოხატული ამ სტროფში.

(2) **9. ილია ჭავჭავაძის პოემაში „აჩრდილი“ ვკითხულობთ:**

„აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძენიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამხოებენ მას, რის აღდგენაც ჰშურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან“.

1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელიც გამოხატავს გაერთიანებას მამულის საშველად.
2. ქართველთა რა თვისება ჩანს პოემის ამ მონაკვეთში?

- (1) 10. აკაკი წერეთლის ლექსში „ხატის წინ“ ვკითხულობთ:
 „კი... მაგრამ მნათე არსად ჩანს,
 ჩემთან მომტანი ცეცხლისა,
 ის მოციქული მომავლის,
 მსგავსი ჭიკჭიკა მერცხლისა!“
განმარტეთ, რა არის ამ სტროფის მთავარი სათქმელი? (ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 11. აკაკი წერეთლის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ სვეისტოფორი მიმართავს სადარბაზოდ შეკრებილთ:
 „ზეცა დაჰყურებს ქვეყანას
 თვალითა ღმობიერითა;
 გამოსცდის, გამოაბრძმედებს
 ჭირითა მრავალფერითა“.
დაასახელოთ, ვის გულისხმობს ავტორი, როდესაც წერს: „ქვეყანას... გამოსცდის, გამოაბრძმედებს“.
- (1) 12. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხვეისბერი გონა“ ვკითხულობთ:
 „სინიდისის ყვედრებამ მწარედ დაუწყო [ონისეს] ტანჯვა. გონება სინანულის მეტს ველა-
 რაფერზედ ველარას ფიქრობდა და დაძმარებულს გულს კი უწყალოდ რაღაცა ჰკუწავდა
 და ანადგურებდა“.
განმარტეთ, რით არის განპირობებული ამ მონაკვეთის მიხედვით ონისეს ტანჯვა. (ციტი-
 რება დაუშვებელია!)
- (2) 13. ვაჟა-ფშაველას პოემაში „ალუდა ქეთელაური“ ვკითხულობთ:
 „ხევსურთა ახალ-უხლები
 გადაიქციან ტყემლადა.
 ავად შაჰხედნეს ალუდას,
 შაუძრახნიან ხმელადა:
 „მოკვდი, სიკვდილი გირჩვენავ,
 რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
 აისხენ გველის-პირული,
 დიაცთ გადუგდე ცხემლადა...“
 1. *ამოიწერეთ* სტრიქონი, რომელშიც ჩანს ახალგაზრდა ხევსურთა განცვიფრება.
 2. *განმარტეთ*, რაში სდებენ ბრალს ხევსურები ალუდა ქეთელაურს? (ციტირება დაუშვებელია!)
- (1) 14. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:
 „პლატონი ერთობ კარგ გუნებაზე დადგა... დარწმუნებული იყო, რომ ბეკინას ბედს მიაგ-
 ნო და რამდენიმე ხნის შემდეგ მოსალხენად გამზადებული ვახშმის სუფრას მიუჯდა და
 მხიარულად ელაპარაკა სალომეს, შემდეგ ვერიჩკას სიმღერაშიაც მხარი მისცა“.
ამოიწერეთ სამი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს, რომ პლატონმა დასახულ მიზანს მიაღ-
 წია.
- (2) 15. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „მე და ღამე“ ვკითხულობთ:
 „საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუდრული,
 ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული“.
 1. *განმარტეთ*, რას ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით სიტყვა „შესუდრული“.
 2. *დაასახელოთ*, რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მეორე სტრიქონში.
- (2) 16. ლეო ქიანელის მოთხრობაში „ჰაკი აბბა“ ვკითხულობთ:
 „უჯუშ ემხას სისხლიანი ეპიზოდებით აღსავსე ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო,
 როცა მას მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმა მოუხდა ისე, რომ თავისი ერთგული
 ძიძიშვილი ჰაკი აბბა გვერდით არ ჰყავდა. ამიტომ ეგონა, თითქოს ეს ყოფილიყო იმის მი-
 ზეზი, რომ გულში გადარჩენის მტკიცე რწმენა არ ჰქონდა...“
 1. რა გრძნობა დაეუფლა უჯუშ ემხას?
 2. *განმარტეთ*, რატომ აქვს უჯუშს ძიძიშვილის განსაკუთრებული იმედი. (ციტირება დაუშვებელია!)

(2) 17. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ ვკითხულობთ:

„ყოველი საგანი მაშინ იწყებს წაქცევას, როცა წონასწორობას დაჰკარგავს იგი. მეფე გაცოფდა, აზვავდა, წონასწორობა დაჰკარგა ეროსისაგან გახელეულმა... სვეტიცხოვლის დანგრევა მოითხოვა ფარსმანმა, ხოლო განრისხებულმა გიორგიმ სვეტიცხოვლის „ცუდად ამგებელს“ მკლავის მოკვეთა მიუსაჯა“.

1. განმარტეთ, რამ დააკარგვინა მეფეს წონასწორობა. (ციტირება დაუშვებელია!)
2. ამოიწერეთ ფრაზა, რომელიც მეფის უსამართლობაზე მეტყველებს. (არა უმეტეს ხუთი სიტყვისა)

(1) 18. გიორგი ლეონიძის ლექსში „მეცამეტე საუკუნე“ ვკითხულობთ:

„ვერ უძლებენ მთები
მულიდების ყივილს,
საყვირებით, ზურნით
დროშების ტყე წივის...“

განმარტეთ, რა განცდის აღძვრა სურს ავტორს ლექსის ამ მონაკვეთით.

IV. წერითი დავალება

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალებებს, გაიაზრეთ ისინი, აირჩიეთ და შეასრულეთ მათგან მხოლოდ ერთი. ნაშრომი, რომელიც დავალებას არ უპასუხებს ან ენობრივად იმდენად გაუმართავი იქნება, რომ აზრის გაგება გაჭირდება, ანდა 200 სიტყვაზე ნაკლები მოცულობისა აღმოჩნდება, არ შეფასდება.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებულია, არ შეფასდება და თხზულების მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

თითოეულ წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი ნაწარმოების შინაარსის თხრობა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ტესტში დატოვებულია ფურცელი შავი სამუშაოსათვის, რომელიც არ სწორდება (სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ან არ გამოიყენოთ იგი). თხზულებისათვის გამოყოფილი ფურცლის დასაწყისში მოცემულია წერითი დავალებების ნომრები (№1, №2 და №3); შემოსაზეთ ის ციფრი, რომელიც თქვენ მიერ არჩეული დავალების ნომერს შეესაბამება (შეცდომა გადახაზეთ, ნუ დაჯღაბნით).

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 20.

დავალება № 1

ფატმან ხათუნის შესახებ ავტორი წერს:

„ფატმან ხათუნ – თვალად მარჯვე, არ ყმაწვილი, მაგრა მზმველი, ნაკეთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი, მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი; ღია ედვა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

.....
სჯობს სიშორე ღიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,

მართ ანაზღად გიდალატებს, გაჰკვეთს, რაცა დაესობის.
მით დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის“.

ფატმანმა უამბო ავთანდილს, რომ მასთან მელიქსურხაეის სასახლიდან გამოპარული ნესტანი მივიდა და გულანშაროდან გაქცევაში დახმარება სთხოვა:

„მიბრძანა: „თავი ვიყიდე მოცემულითა შენითა,
მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს მოწყალებითა ზენითა!
ველარ დამალავ, გამიშვი, ფიცხლა გამგზავნე ცხენითა,
სადამდის სცნობდეს ხელმწიფე, კაცთა მომწვედეს რბენითა“.
შევე ფიცხლა საჯინიბოს, ავხსენ ცხენი უკეთესი,
შევეუკაზმე, ზედა შევსვი მხიარული, არ მოკვნესი;
ჰგვანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი...“

ფატმანმა ავთანდილს აუხსნა:

„მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მკლე არის და თვალად ნასი.
ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი;
ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თუცა ფლასი;
ნეტარძი ვინ სისხლი მისი შემახვრიტა ერთი თასი!
ესე ამბავი მას თანა ვთქვი დიაცურად, ხელურად:
ჩემსავე მოსლვა მის მზისა და გაპარება მეღურად.
გამჟღავნებასა მექადდა არ მოყვარულად, მტერულად,
აწ ისრე მკვდარსა ვიგონებ, იშ, თავი ვისხენ მე რულად!“

ავთანდილმა ნესტანისა და ტარიელის ამბავი ფატმანს გაანდო და სთხოვა:

„მოდო და, ფატმან, მეწიე, ვეცადნეთ მათსა რგებასა,
ვუშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შეებასა!
ვინცა სცნობს კაცი, ყველაი ჩვენსა დაიწყებს ქებასა;
ნუთუ კვლა მიჰხვდენ მიჯნურნი ერთმანერთისა ხლებასა!..“
ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება, საქმენი მომხვდეს, მო-, რანი,
დღეს რომე მესმნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი!“
მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი;
უბრძანა: „ქაჯეთს გაგგზავნი, წა, გზანი ვისხენ შორანი!“

ქაჯეთის ციხიდან გამოხსნილი ნესტანი კიდევ ერთხელ შეხვდა ფატმანს:

„ფატმან ხათუნს, მისსა მჭერეცსა, ედებოდა ცეცხლი ნელი,
მოეხვია, გარდუკოცნა ხელი, ფეხი, პირი, ყელი,
იტყვის: „ღმერთო, რა გამსახურო, განმინათლდა რადგან ბნელი!
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი!“

გაანალიზეთ მოცემული მონაკვეთები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, ფატმანის რა უარყოფითი თვისებები ჩანს მოცემულ მონაკვეთებში;
- იმსჯელეთ, ფატმანის რა დადებითი თვისებები ჩანს მოცემულ მონაკვეთებში;
- შეაჯამეთ მსჯელობა და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ამ პერსონაჟის მიმართ.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწევები გიორგი ლეონიძის მოთხრობიდან „მარიტა“:

ცეცხლმოკიდებული სოფლის მეუფროსე ციციკორე თავზე ცივ წყალს ისხამდა. გმინავდა, თრთოდა. ტვინი გაუფიცხდა.

– მირონი დააქციეს, ტალახში შარიეს, ქვეყანა შეგვიგინეს, გაუგონელი ამბავია, ძნელად დასაჯერებელი, ქვეყნის გადაჯიშების ნიშანია სწორედ! მერე ვის დროს ხდება: ჩემს ხელში! ღმერთიც მე მომთხოვს პასუხს, ქმარიც, სოფელიც, ჩამომავლობაც!..

შუალამისას სოფლის თავკაცების ფარული თათბირი გაიმართა ციციკორეს საბძელში. დიდი სჯა-კამათი იყო. ციციკორემ გულის ბოღმა-გაება წამოცალდა. თავისი დაიჟინა; ზოგი კი წინაღულდა, მაგრამ გავლენიანმა სოფლის მეუფროსემ მაინც თავისი გაიტანა, და ვინც კი თავდაპირველად გაიკმარა, ბოლოს იმანაც კი ციციკორეს მხარი მოაბა მკაცრ გადაწყვეტილებაში!..

...გაზაფხულის ნაცრისფერი დილა გათენდა, ნაწვიმარი, ნაცივარი, წუხანდელი წვიმის ღრუბლების ნაფლეთები კიდევ დახეტიალობდნენ ჩვენი სოფლის ცაზე, თითქოს ცაც იყო შეციებული, შეტალახებული, გამურული, პაერიც უგემური, წუხანდელ ნაწვიმარზე. წვიმით მტვერგადარეცხილი ძეძვის ორღობე უფრო ჩაშავებულიყო, ჩუმი წვიმის წვეთები ცრემლებით ცვიოდა...

სოფლის ბრბო უხმოდ მოდიოდა ღვარამოდენით, ჩოჩქოლით, გაონავრებული, გაძალიანებული...

აღრენით დელავდა ბრბო, მრისხანებდა, გმინავდა, კვნესოდა, ჰბორგავდა, თითქოს გულის ნაღველს იწურავდა, ნიშნისმოგებით უხმაუროდ ზეიმობდა რაღაცას. მოდიოდა ღვარცოფულად, მაგრამ მუნჯად...

პერანგა ქალი უკუღმა შეესვათ ვირზე...

ახლაც მაგონდება იმ ქალის კუნთების თრთოლება. ეტყობოდა, სციოდა და სტკიოდა, სცხელოდა და იგმირებოდა, ალბათ, ენატრებოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი არსად ჩანდა და მისი ტანჯვა კი ძნელი იყო, ვითარცა სიკვდილი!

იმ წამს იგი ათჯერ მოკვდა და ისევ ათჯერ ძალით აცოცხლებდნენ!..

...მოჰყავდათ სოფლის წამებუმი, თითქოს დედოფალი მოჰყავთო, და მთელი სოფელი მისი ამაღა გამხდარიყო.

თრთოდნენ ქალის ანგელოზური მხრები და ბრბო კი ტალახსა და საქონლის ფუნას ესროდა თეთრ პერანგზე, რომელსაც თანდათან თავისი ფერი ეკარგებოდა.

არც ერთი ხმა...

არც ერთი შეძახილი... ეს იყო გასაკვირველი...

მაგრამ სიჩუმე საზარლად ხმაურობდა, ჩანჩქერივით გრიალებდა და თან იხვევდა ყველაფერსა და ყოველივეს... ბრბო კი ჩუმად, უჩინრად მიჰქუხდა, როგორც ღვარცოფი, და მის წინაშე უძღური იყო თვით ღმერთი!

იმ საშინელი დღის შემდეგ გაუკაცრავებული, დამცრობილი მარიტა აღარავის სჩვენებია!

მარიტა მოკვდა სოფლისათვის!

თითქოს, სადღაც, უჩინრად გადაიხვეწა...

ყველა უხერხულობდა მარიტას სახელის ხსენებას...

ჩუმად იყვნენ მარიტას ნამეგობრალეებიც... ყველა მიჰხვდა თავის შეცდომასა და ბოროტებას, ყველამ გაითვალისწინა საკუთარი დანაშაული...

სოფელმა იგრძნო თავისი ნამხეცავი, ნაპირუტყვალი! აწყენინა თავის საუკეთესო შვილს, უმანკოს და უნაკლულოდ პატიოსან ადამიანს!

მარიტა ზეზეურად დადნა და სულ მალე უთქმელი სევდით გადავიდა ეთერის ქვეყანაში!

გაიგო რა მისი ცოდვის მზიდველმა სოფელმა მარიტას სიკვდილი, საშინლად იტკივილა! მთელი სოფელი მოჯარდა მარიტას ეზოში...

სოფელმა ზღვიერების ცრემლით დაიტირა თავისი მზეჯავარა. კუბოსთან ყველა წყაროსავით იღვრებოდა.

მხოლოდ გუდჯავრიანი ციციკორე ამაყი და გაძაგრული იდგა. ჩაღრუბლული, მძიმე ფიქრებში შესული, განა შემნანე, ხან ყავარჯენს დაებჯინებოდა, თითქოს სასტიკი მხერით ამოწმებდა, მართლა მოკვდა თუ არაო? საოცარი იყო, ციციკორე – მარიტას სიცოცხლის ხელმყოფელი, სოფლის ამტირებელი, სულაც არ იტანჯებოდა, მას მართალი ეგონა თავი! მან ხომ სოფლის ძველთაძველი ზნეობა დაიცვა, სირცხვილი არავის შეარჩინა! მხოლოდ ნორჩი, „გაუხარელი“ ქალი ენანებოდა, როგორც ადამიანს და თვითვე უკვირდა თავისი ძალა და გავლენა:

– სად დაგკარი და სად გავარდაო!

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- დაახასიათეთ „სოფლის მეფეოსე“ ციციკორე;
- იმსჯელეთ, როგორ იხატება ბრბოს სახე ამ მონაკვეთში;
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 3

ყურადღებით წაიკითხეთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „იხვი და მყვარი“:

ერთს მთაში ერთი მომცრო, წვიმის მღვარი გუბე დარჩომილიყო. მივიდა ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა.

ერთი მყვარი დაეძმობილა იხვსა და ერთად იყვნენ და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდნენ. რა მზე გაცხარდა და ზაფხულმან სიცხე მოუმატა, წყალმან კლება შექმნა.

იხვმან უთხრა მყვარს:

– მოდი, ადგილი ვიცვალათო!

მყვარმან უთხრა:

– შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროს ვერ დავუტყეებო!

იხვი გაფრინდა. სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა.

მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა.

ცოტას ხანს უკან იხვმან თქვა:

- წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქმსო?
- მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა:
- ძმობილო, მაგისტანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო.

ყურადღებით წაიკითხეთ სოლომონ მსაჯულისა და სოფიოს დიალოგი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“:

„ვეჭვობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
 აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.
 მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,
 როს საცხოვრებლად დიდკაცთა ცოლებს
 პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!
 მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ:
 ხელმწიფეს ჰპოვებთ მამად კეთილად
 და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
 არ მოგაკლდებათ თავისუფლება,
 განცხრომილება, ფუფუნეულება,
 მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!
 ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის.
 მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
 ბანოვანთათვის გულგასართობლად.
 მაშინ ვისალა მოესურვება,
 ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!“

„უწინამც დღე კი დამეღევა მე!
 უცხოობაში რაა სიამე,
 სადაცა ვერ ვის იკარებს სული
 და არს უთვისო, დაობლებული?
 რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბუღბუღი,
 გაღიაშია დატყვევებული?
 და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
 ჭირსაც, ვით ღხინსა, ერთგვარ დამღერის!
 ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
 თუ მოაკლდება თავისუფლება?“

თავის მამულში მას გაჭირება
 სხვადასხვა რიგად ენუგეშება:
 მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
 და გულსა გულის პასუხი ესმის!
 რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
 ოდეს მეფეცა და დედოფალი
 გვეყვანან კეთილნი და ღირსეულნი,
 და ვართ მათთანა შეილებერ ჩვეულნი?
 ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
 მწუხარებათა სანუგეშებლად,
 რასა ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?“

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
 დედაკაცთაცა ჰპოვებს ცვალებულს,
 და აწ რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
 გარდაეხვია მას მსურვალებით.
 ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
 კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
 სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?
 ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
 მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
 ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
 გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
 „ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
 ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს;
 რის ქართველობა, რა ქართველობა!
 მითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?“

გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, რა არის სულხან-საბა ორბელიანის იგაფ-არაკის მთავარი სათქმელი;
- იმსჯელეთ, რა არის პოემის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი;
- ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება მოცემულ ტექსტებში წამოჭრილი პრობლემებისადმი.
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!